

ქართველ მეფეთა პოეზია

POETRY OF THE GEORGIAN KINGS

საზოგადოებრივი გაერთიანების - „ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ -
პროექტი



იდეის ავტორი - **ოთარ ციციშვილი**

საინიციატივო ჯგუფი - **ნინო ჭუმბურიძე, გიორგი შერვაშიძე, ბადრი არეშიძე**

პროექტის ხელმძღვანელები - **ასმათ შერვაშიძე, ნინო ჭუმბურიძე**

შემდგენელები - **თემურ ჩალაბაშვილი, ოთარ ციციშვილი, ასმათ შერვაშიძე, ბაია ასიეშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი**

მთარგმნელთა ჯგუფი - **ნანა ბუხრაძე** (ლიტერატურულ-ისტორიული მიმოხილვა, ლექსები); **თეა ქუნთელია, ქეთევან მამულაშვილი** (ისტორიული რეზიუმე)

რედაქტორები - **ქეთევან ტომარაძე** (ქართული), **როი ჰენრი** (ინგლისური)

შემოქმედებითი ჯგუფი მადლობას მოახსენებს თანადგომისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ფერიცვალების დედათა მონასტერს, ბავრატოვანთა სახლს.

The Project of the Public Association "At the Crossroads of Civilizations"



The author of the idea – **Otar Tsitsishvili**

The Project initiative group – **Nino Chumburidze, Giorgi Shervashidze, Badri Areshidze**

The project supervisors – **Asmat Shervashidze, Nino Chumburidze**

The material compilers – **Temur Chalabashvili, Otar Tsitsishvili, Asmat Shervashidze, Baya Asieshvili, Nikoloz Javakhishvili**

The group of translators – **Nana Bukhradze** (literary and historical survey, poems);

Thea Kuntelia, Ketevan Mamulashvili (historical summary)

The group of editors – **Ketevan Tomaradze** (Georgian), **Henry Roe** (English)

For the commitment rendered, the creative group of the project convey their acknowledgements to the Ministry of Defence, Nunnery of Transfiguration, and to the Royal House of the Bagrationis.

ექლენება
საქართველოს დამოუკიდებლობის
100 წლისთავს

**Dedicated
to the centenary of Georgia's
independence**

მეფური ღირსებით

ფეოდალური საქართველოს შვიდი რჩეული მონარქის განსხვავებული ხასიათისა და უანრის მხატვრული შემოქმედებიდან ცალკეული ფრაგმენტების წინამდებარე კრებულში თავმოყრა კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება. პოეზიის მშვენიერი ნიმუშებისა და მათ ავტორთა შესახებ თანდართული მოკლე ინფორმაცია ზოგად წარმოდგენას შეექმნის მკითხველს ქართული მწერლობის განვითარების ეტაპებზე XI საუკუნიდან, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის ხანიდან, გვიანი შუა საუკუნეების რთულ, წინააღმდეგობრივ ეპოქამდე, ქრისტიანულ-ფილოსოფიური აზროვნების გენეზისზე ჩვენს ქვეყანაში, სოციალურ-კულტურული ცხოვრების პერიპეტეებზე, არაერთგვაროვანი მოვლენებით დატვირთულ ვრცელ ისტორიულ არეალზე.

დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, თამარ მეფე, თეიმურაზ პირველი, არჩილი, თეიმურაზ მეორე, ვახტანგ მეექვსე – ბაგრატიონთა დინასტიის სახელოვანი მმართველები, ზოგიერთს ქვეყნის გამაერთიანებელ, შინაური თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ მედგრად მებრძოლ მონარქებად იცნობს ისტორიოგრაფია, სხვანი – ბედკრულ გვირგვინოსნებად მოიაზრებიან, რომელთა აღზევება თუ მარცხი, უმთავრესად, მეზობელ ქვეყნებში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით, ფეოდალური დაპირისპირებით, ღალატითა და შიდა აშლილობებით იყო განპირობებული.

ანთოლოგიაში ქართველი მეფეები საგვარეულო ნიშნით გაერთიანდნენ, თუმც თითოეული ნაწარმოების შერჩევისას გადამწყვეტი ფაქტორი მხატვრული სიტყვის გრძნობა, პოეტური ნიჭი და ოსტატობა, ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისთვის ნიშანდობლივი ესთეტიკური ხედვის თავისებურება აღმოჩნდა.

მოცალეობის უამს სიტყვას თამამად შეჭიდებული ძლევამოსილი მონარქები დროების არსებით ნიშნებს აყურადებენ და ეპოქათა დულაბში გამოტარებული იდეების თავისებურ ინტერპრეტაციას გთავაზობენ. ზოგი მათგანი მხატვრულ-ესთეტიკური ხედვის სა-თავებთან დვას, საძირკველს უყრის მშვენიერების იდეის გააზრებას

და მტკიცედ იცავს მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას, სასიცოცხლო იმპულსს ანიჭებს პოეტური სიტყვის მადლსა და მშვენიერებას.

ნიგში წარმოდგენილი კლასიკური ხანის მწერლობის მცირე ნიმუშებით ქართველ მეფეთა პოეტური მემკვიდრეობის გაცნობისას, მკითხველს უსათუოდ შეეშველება სპეციალისტების მიერ თითოეული ავტორისთვის საგულდაგულოდ შედგენილი ისტორიულ-ლიტერატურული გზამკვლევი.

შუა საუკუნეების მწერლობით დაინტერესებულ მკითხველს დიდხანს გაჰყვება ნიგით მიღებული შთაბეჭდილება, ამალღებული განწყობა. სიამოვნებას მიანიჭებს მეფე პოეტების შემოქმედებაში განფენილი ხატ-სახეების გაცნობა, მეტაფიზიკურ რაკურსში დანახული სამყაროს ჰარმონიულ მთლიანობად მოაზრებისკენ სწრაფვის ტენდენცია.

დავით აღმაშენებლის საგალობელი ღვთაებრივი სიყვარულით შთაგონებულ, მთრთოლვარე სულის ვიბრაციას განაცდევინებს ჭეშმარიტ მორწმუნეს; შემეცნების გზაზე შემდგარი, „სინანულითა და სიმდაბლით“ აღვსილი ძლიერი მონარქის, „სათნოებათა კიბის“ იღუმალებით მოცულ საფეხურზე შემდგარი აღმსარებლის პოეტური აზროვნების ფერთა გამა, ისევე როგორც ასკეტურ-მისტიკური მსოფლგანცდით განმსჭვალულ, ბიბლიურ რემინისცენციათა ფართე სპექტრში ჩაძირვა, ეპოქისთვის ნიშანდობლივი ხედვის თავისებურებათა აღქმას გაუადვილებს მკითხველს.

„ხატსა თვისსა მამსგავსე და საკვირველად გრძნობადისა და გონიერებისა მყოფობისად დამანსე შენებრ“ – ამას შესთხოვს უფალს – „ღმერთს მონანულთაი, ამალღებულს ზესკნელს ცათა ძალთაგან“ – „მესიის მახვილად“ წოდებული, ქართული სახელმწიფოს დიდებული მესაჭე დავით აღმაშენებელი მშვენიერ საგალობელში, რომელმაც საუკუნეების გამოცდას გაუძლო და დღესაც არ დაუკარგავს ოდინდელი ხიბლი და მიმზიდველობა.

ჰიმნოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშის, „გალობანი სინანულისანის“ ავტორი ეკლესიის დიდი მამების: იოანე დამასკელის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ნაზიანზელის, დიონისე არეოპაგელის სულიერი მემკვიდრეა, მათ თხზულებებში განფენილი იდეებით საზრდობს. საგალობლის ქვეტექსტში ქრისტიანული თეოლოგიის

ფუქძემდებლის, ორიგენის თეოსოფიურ თვალსაზრისსაც ამოიცნობს მკითხველი სამყაროთა იერარქიაზე, რომლის თითოეული საფეხური ადამიანის სულიერი წრთობის გარკვეულ ეტაპზე მიანიშნებს.

დელფოსის მისტერიათა დევიზმა: „შეიცან თავი შენი...“, სოკრატესა და ბასილი დიდის მსოფლმხედველობის საყრდენმა, რომელიც ნეოპლატონიზმის ამოსავალ თეზად იქცა, სათავე დაუდო „ღვთაებრივი ხატის“ - ადამიანის მიკროკოსმოსად მოაზრების იდეას. ამ მოძღვრების თანახმად, ადამიანის თვითშეცნობა, უპირველეს ყოვლისა, მრავალფეროვანი სამყაროს, მაკროკოსმოსის გააზრების, მის სიღრმეებში წვდომის გარანტია. „ეგოში“ ჩაძირულმა მორწმუნემ, დემიურგთან მიახლების სანუკვარი მიზნის მისაღწევად, გარკვეული ეტაპები უნდა განვლოს, წარმატებით დაძლიოს პიროვნული სრულყოფის ეტაპები და დიად საიდუმლოს ეზიაროს, რათა მთელი არსებით შეიგრძნოს საკუთარი ღვთაებრიობის ჭეშმარიტი არსი და პირველსაწყისი სისავსე და მშვენიერება დაიბრუნოს.

დავით აღმაშენებლის საგალობელში აღბეჭდილი, თეოსოფიურ ჭრილში დანახული სამყარო და ადამიანი, წლების მანძილზე რუდუნებით თავმოყრილი და შემოქმედებითად გადამუშავებული იდეების გათავისების, გონების მუდმივი ვარჯიშის ლოგიკური შედეგია. სახელმწიფო პოლიტიკის საყრდენად დავითმა თავისი ეპოქის პროგრესულ შეხედულებებს უხმო და უპრეცედენტო რეფორმებს გაუხსნა გზა. ხელისუფლის მიერ გატარებულ, უპირველეს ღონისძიებათა შორის, უწინარესად, ეკლესიაში წოდებრივი ნიშნით უპირატესობის მოსპობა და პირადი ღირსების წინა პლანზე წამოწევა იქცევს ყურადღებას. ამ პროცესს საფუძვლად დაედო XI საუკუნის დიდებული მოღვაწის, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის, მწერლისა და მთარგმნელის გიორგი მთაწმიდელის მიერ ჩამოყალიბებული საეკლესიო დოქტრინა, რამაც მომდევნო საუკუნეებში გადამწყვეტი როლი ითამაშა ეროვნულობის განმტკიცების, ქართული ეკლესიის გაძლიერებისა და ავტოკეფალიის იდეის ცხოვრებაში ხორცშესხმის, კულტურული და ეკონომიკური აღმავლობის გზაზე შემდგარი სახელმწიფოს გამთლიანების, საერო და საეკლესიო ცხოვრების ჰარმონიზაციის საკითხის წარმატებით დაძლევაში.

მემატანე ვაოცებას ვერ ფარავს დავით აღმაშენებლის, საქვეყნო საქმეებზე დღენიადაგ მოფიქრალი, ხალხის კეთილ-

დღეობაზე მზრუნველი მონარქის გარესამყაროს შეცნობისკენ დაუოკებელი ლტოლვის, ინტერესთა მრავალფეროვნების, მწერლობისა და მეცნიერების სფეროთა დაუფლების წადილის გამო. გვირგვინოსან მეფეს, არა მარტო ქრისტიანული მოძღვრება, ზედმიწევნით შეუსწავლია ისლამი, მაჰმადიან მეცნიერთა თხზულებანი თუ პოეტური მედიტაციის საუკეთესო ნიმუშები და თეოლოგიის საკითხებზე ცხარე დებატებიც არაერთგზის გაუმართავს.

საქართველოს მეფე წყალობას არ აკლებდა ქვეყანაში კეთილი ზრახვით მოსულ მაჰმადიანებს, სუფიების ცხოვრების წესი ხომ ცნობისწადილს ძალუმაღ უღვივებდა, „ქონებრივ დახმარებას“ უწევდა მათ და „სადღესასწაულო მეჭლისებსაც“ უმართავდა.

შექმნილ გარემოებათა გამო, ჩვენს ქვეყანაში იმხანად საკმაოდ ბევრი ადუპტი გამოუჩნდა ისლამის მრავალწახნაგოვან, ეკლექტიზმით შეფერილ განშტოებას, სუფიზმს, რომლის იდეოლოგიურ საყრდენს, გარდა ყურანისა, მკვლევრები სხვადასხვა მისტიკურ მოძღვრებებს, თეოსოფიურ მიმდინარეობებს, განსაკუთრებით, ნეოპლატონისტურ მსოფლგანცდას უკავშირებენ და მისი ერთ-ერთი იდეოლოგიის, ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებათა გავლენაზეც დამატურებელ დასკვნებს გვთავაზობენ.

ისტორიის მკვლევრებს ფიქრისა და განსჯისკენ უბიძგებს ქრისტინი მეფის ერთი საყურადღებო პიროვნული შტრიხი, ისლამითა და სუფიური პოეზიით გატაცება. ამ მიმდინარეობამ და მისმა განშტოებამ იმხანად განვითარების ზენიტს მებოზელ ქვეყანაში, შიიტურ ირანში მიაღწია, შემდგომი ეპოქების ქართული კულტურა, გამორჩევით მწერლობა კი თითქმის მთლიანად მოიცვა და, გარკვეულ მიზგბთა გამო, პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროებშიც შეაღწია. განსხვავებული კონფესიებისადმი თანმიმდევრული შემწყნარებლური პოლიტიკა, ძლიერი ქართველი მონარქის იმანენტურ თვისებად, მასშტაბური, სახელმწიფოებრივი აზროვნების ბუნებრივ გამოვლინებად მიიჩნეოდა.

ძნელია არ დაეთანხმო ისტორიკოსთა და კულტურის მემატინეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დავითის ეპოქაში თვითმყოფადი ეროვნული სული და შემოქმედებითი მუხტი იმდენად ძლიერი იყო, რომ უცხო ელემენტების შემოჭრისა და ქართულ სინამგილეში ინტეგრირებით უპირატესობის მოპოვების საფრთხე არ

არსებობდა. ქართული კულტურა ისრუტავდა და საკუთარ დუღაბში აწრთობდა ყოველივეს, რაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. შორსმჭვრეტელი ერთპიროვნული მმართველი თავად იძლეოდა, მულტიკულტურულ გარემოში, სხვა ერებთან თანაცხოვრების საუკეთესო მაგალითს. ყურანის ზედმიწევნითი ცოდნა მას ესმარებოდა, ყმანვილკაცობაში მიღებული საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლება გაეღრმავებინა, სახელმწიფოებრივი მიზნებისთვის დაექვემდებარებინა და შეექმნა ჰიმნოგრაფიის მშვენიერი ნიმუში, რაც ბუნებრივად ერწყმის მის პიროვნულ ღირსებას. ამიტომაც გაუძლო საგალობელმა საუკუნეებს და თაობიდან თაობას გადაეცა უკეთეს დღეთა საიმედოდ და გზის გასაკვლევად.

დავითის მემკვიდრემ, დემეტრე პირველმა ღირსეულად განაგრძო მამის დანყებული საქმე, განამტკიცა ქვეყნის საზღვრები, შეებრძოლა ძლიერ მეტოქეებს და მწერლობაშიც ტოლი არ დაუდო სახელოვან წინაპარს. ღვთისმშობლისადმი აღვლენილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ ქართული ჰიმნოგრაფიის ჭეშმარიტი შედეგია, რომელიც დღემდე შეუნელებელ ინტერესს აღძრავს, როგორც ადამიანის სულიერი საზრდოს უშრეტი საბადაო, ქრისტიანი მორწმუნის „ეგოს“ კოსმოსთან დამაკავშირებელი, ღვთაებრივი სიყვარულით გასხივოსნებული უჩინარი ხიდი.

1178 წელს გიორგი მესამემ ერთადერთი ასული, თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა. რადგან მეფეს ვაჟი არ ჰყავდა, მამის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის მართვის სადავეები თამარმა ჩაიბარა. ქვეშევრდომთა მხრიდან აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობების მიუხედავად, რომლის გამკლავებაც ქალისთვის იოლი როლი იქნებოდა, რადგან ფიზიკური გამძლეობის გარდა, გონების მუდმივ დაძაბვას, ყურადღების კონცენტრირებასა და თანამოაზრეთა ერთგული გუნდის სრულ მხარდაჭერას მოითხოვდა, მან არა მარტო შესძლო ქვეყნის არსებულ საზღვრებში შენარჩუნება, განვითარების ახალ ეტაპზეც აიყვანა.

თამარის სახელს უკავშირდება მრავალი ღირსსახსლოვანი მოვლენა, რომელმაც ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა იმდენად, რამდენადაც თითოეული, ერთიანი ქართული სახელმწიფოს განმტკიცებისთვის ზრუნვის სამსახურში ჩააყენა.

შემთხვევით არ მოიხსენიებს მემატეიანე თამარის მეფობის ეპოქას

„ოქროს ხანად“. ამ ორსიტყვიანმა ფრაზამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, სოციალურ-პოლიტიკური წინსვლა, კულტურის არნახული აღმავლობა დაიტია და სამართლიანად დაუმკვიდრა გონიერი, მონყაღე, ჰუმანური და შორსმჭვრეტელ მონარქის სახელი მეფე თამარს.

ოღითგანვე პოეზია სიბრძნის დარგად ითვლებოდა და ქართველი მეფეებიც, საეკლესიო საგალობლებისა თუ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სიღრმისეულ წვდომასთან ერთად, ლექსის გაჩარხვასა და პოეტიკაში წრთობასაც სათანადო დროსა და ყურადღებას უთმობდნენ. პოეტიკა, როგორც სასწავლო დისციპლინა, ზოგადად, სამეფო აღზრდისა და განათლების, სულიერი სრულყოფის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად ითვლებოდა. თამარმა არ უღალატა წინამორბედთა მიერ გაკვალულ გზას, ბედი ლექსის თქმაშიც სცადა, ხუთი იამბიკო ოცდახუთ ლექსად აღწერა და რელიგიურ-ფილოსოფიური იდეებით განმსჭვალული მშვენიერი ძეგლი, „ცასა ცათასა“ დაუტოვა შთამომავლობას.

დღემდე მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული, იყო თუ არა შუა საუკუნეების რენესანსული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშის, პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი ბაგრატოვანთა საგვარეულოდან. ფრაგმენტები მისი პოემიდან, ბუნებრივია, წინამდებარე კრებულში არ შესულა, თუმც შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ უზარმაზარი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართულ მწერლობაზე. ამ გავლენას ვერც მეფე პოეტები ასცდნენ.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ქარგა, ეგზოტიკური სურათებით გაჯერებული მიმზიდველი ყოფითი ეპიზოდები თუ მეომართა სიმამაცესა და მარჯვე საბრძოლო სტრატეგიაზე ამაღელვებელი მონათხრობი, ცოცხლად აღწერილი ბატალური სცენები, ფორმით აღმოსავლური და შინაარსით ქრისტიანული ძეგლი, რომლითაც ავტორი განსხვავებულ კულტურათა უმშვენიერეს სინთეზს ქმნის, ანდამატივით იზიდავდა რუსთაველის პოემის მელოდიურობითა და ღრმა შინაარსით მოჭადოებულ მკითხველს.

პოეტი დავით აღმაშენებლის, დემეტრე შირველის, თამარის ეპოქებს გაიაზრებს, გაცილებით ადრეულ პერიოდებში, საუკუნეების წიაღში დაუნჯებული ცოდნითა და შემოქმედებითი გამოცდილებით

საზრდოობს, ამბავს უცხო სამოსელში ხევეს, „ოქროს კვეთის პრინციპით“ აკუსტიკურ სრულყოფასა და სტრუქტურულ მთლიანობას აღწევს და ოსტატურად გვანვდის ზოგადსაკაცობრიო იდეებს. ასეთი სიმაღლეების დაპყრობა მხოლოდ ღრმა შინაგანი რწმენითა და სამყაროს მასშტაბური ხედვით აღჭურვილ პოეტს ხელეწიფება.

რომ არა თამარისა და მის წინამორბედთა ფასდაუდებელი ღვაწლი, უმძიმეს გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეული ქვეყნის გონივრული მართვა და შორსმჭვრეტელობა, ტოლერანტობის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა და ცხოვრების წესად ქცევა, სხვადასხვა კულტურათა ჰარმონიული თანაარსებობისთვის ხელშეწყობა, საზღვარგარეთ თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო კერებისთვის მატერიალური დახმარება და სულიერი თანადგომა, თითოეულის მიზანმიმართულ გაძლიერებაზე განუხრელად ზრუნვა, რუსთაველის იდეები ქართულ სინამდვილეში ესოდენ მნიშვნელოვან ადგილს ვერ დაიმკვიდრებდა. პოემაში მოხსენიებული ანტიკური ხანის დიდ მოაზროვნეთა სახელები, რომელთა მხრებზეც ეპოქები იდგა, კულტურისა და განათლების მაღალ დონეზე მიანიშნებს იმ ისტორიულ პერიოდში, როდესაც მეფე დავითი, დემეტრე და თამარი უფლისა და ხალხის მიერ მინდობილ სახელმწიფო მმართველობას ახორციელებდნენ.

შემდგომ ეპოქათა ქართული მწერლობა, ერთი მხრივ, რუსთაველის მომწესხავი პოეტური გენიისგან გათავისუფლების, მეორე მხრივ, ირანის პოლიტიკურ-კულტურული ექსპანსიის, ასევე, სხვა მემობელი მაჰმადიანური ქვეყნების ძლიერი გავლენის ნიშნით ვითარდებოდა. აღმოსავლეთის მრისხანე მბრძანებლები ყველა ღონეს ხმარობდნენ დასუსტებული ქრისტიანული სახელმწიფოსა და ქართველი მეფეების დასამორჩილებლად, ცალკეული რეგიონების ვასალურ ურთიერთობათა ჩარჩოებში მოსაქცევად, ანდა ქვეყნის სრული ანექსიის მოსახდენად.

აღორძინების ხანის პოეტების: თეიმურაზ პირველის, არჩილის, თეიმურაზ მეორისა და ვახტანგ მეექვსის ლიტერატურული მემკვიდრეობის თვალის ერთი გადავლებაც ცხადყოფს, რაოდენ ცოცხლად და საინტერესოდ წარმოაჩინენ მეფე პოეტები ქვეყანაში არსებულ უმძიმეს პოლიტიკურ სურათს, ვითარებას, რომელშიც მათ სახელმწი-

ფოს მართვა და დამოუკიდებლობის თუნდაც ფორმალურად შენარჩუნებისთვის ბრძოლა უხდებოდათ. ძლიერი პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოქცეული ქართველი მეფეები დღენიდაც ფიქრობდნენ საკუთარი ღირსებისა და ქვეყნის გადარჩენაზე, უცხო ექსპანსიისგან თავის დაღწევაზე, მაგრამ მტერთან უკომპრომისო ბრძოლაში, როგორცაც მაინც ახერხებდნენ ლექსის საწერად განმარტობასა და მწერლობასა და კულტურაზე ზრუნვას. ყველანი უკეთეს დღეთა იმედით შეჰყურებდნენ ევროპასა და ერთმორწმუნე რუსეთს და ქვეყნის ხსნისა და გადარჩენის ოპტიმალურ გზებს ეძიებდნენ. დახმარება კი, ჩვეულებრივ, ან არ ჩანდა, ანდა უსაშველოდ იგვიანებდა.

გენეტიკური მესხიერება და ბოროტებაზე ისტორიული სამართლიანობის, სიკეთის გამარჯვების მძაფრი განცდა საქართველოს მეფეებსა და მთელ ქართველ ხალხს გადამწყვეტ მომენტში გასაოცარ ძალას მატებდა და რწმენაში გაძლიერებისკენ, ყოველგვარი წინაღმდეგობის დაძლევისკენ, შინაგანი სიმტკიცისა და ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციისკენ უბიძგებდა. გადამწყვეტი როლი ამ პროცესში, ისევ და ისევ, მართლმადიდებლობას, საუკუნეობით შემუშავებულ ნაცად დიპლომატიას, მწერლობასა და ტაძრების მშენებლობაზე ზრუნვას ენიჭებოდა. ამ უაღრესად რთულ, თითქმის გაუსაძლის პირობებში მეფე პოეტები ახალ თემებს დასტრიალებდნენ თავს და ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე ფიქრსა და განსჯაში, განსხვავებულ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპებზე აგებდნენ შემოქმედებითი ინსპირაციით განპირობებულ საინტერესო სახეებსა თუ მეტაფორებს.

როგორც კი მცირეოდენი ამოსუნთქვის საშუალება მიეცემოდათ, ქართველი მეფეები მწერლობის განვითარებაზე, ეკლესია-მონასტრების აღდგენაზე, სტამბის გამართვაზე, ქვეყნის კულტურულ აღორძინებაზე იწყებდნენ ზრუნვას, მიმზიდველი მხატვრული ფერებით გვესაუბრებოდნენ სოფლის წარმავლობასა და გაუტანლობაზე, ღალატსა და შინა აშლილობაზე, სიღუბჭირესა და გაუსაძლის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რასაც ქვეყანა ჩიხში შეჰყავდა და კეთილი მომავლის გზას უხშობდა.

ურთულესი ვითარების ფონზე, ქართული მწერლობა თანდათან თავისუფლდებოდა ლიტერატურული შტამებისგან, აღმოსავლური ჟანრებითა და მხატვრული სახეებით ჭარბი გატაცების ტენდენციისგან და რეალური ცხოვრების, ადამიანური განცდების ამსახველი სალექსო

სტრუქტურების, ახალი ფორმებისა და გამომსახველობით საშუალებათა ძიების პროცესში ურთულეს პერიოდს გადიოდა, რათა „მართლის თქმის“ პრინციპით, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისთვის ახალი ფუნქცია და სასიცოცხლო ენერგია მიენიჭებინა.

ქართული მწერლობისა და ენის წიაღში დაუნჯებული აურაცხელი სულიერი სიმდიდრე ახალ ფორმას იძენს მე-17, მე-18 საუკუნეების ბაგრატოვან ხელისუფალთა მხატვრულ შემოქმედებაში, რაც იმპულსს აძლევს და ეხმარება შემდგომ თაობებს გარესამყაროს აღქმის არეალის გაფართოებასა და თვითმყოფადი, ორიგინალური გამომსახველობითი საშუალებების ძიებაში.

ევროპისა და აზიის გზასაგასაყარზე მდებარე უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოს მმართველემა, ბრძოლისა და მშვიდობის, აღმავლობისა და დაცემის, სოციალურ წინააღმდეგობათა თუ სავალალო ეკონომიკური ვითარებიდან, ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის პირობებში, მეფური ღირსებით ატარეს და ძვირფას მემკვიდრეობად დაუტოვეს შთამომავლობას ქართული პოეზიის თვალშეუდგამი გვირგვინი.

ქეთევან ტომარაძე



გლასო

1106



დავით აღმაშენებელი

1089-1125

ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის სახელოვანი გამგრძელებელი, მეფე გიორგი II-ის ვაჟი. სამეფო გვირგვინი დავით აღმაშენებელმა 16 წლის ასაკში დაიდგა და 36 წელიწადი იმეფა (1089-1125). მან ჩაიბარა გარე თუ შინაური მტრისგან დასუსტებული და გავერანებული ქვეყანა. თავდაპირველად მისი მმართველობა მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. ძლიერი და შორსმჭვრეტელი მონარქის მეფობა პრაგმატული, ღრმად გააზრებული, ზედმიწევნით ეფექტური პოლიტიკით ხასიათდებოდა. დავითმა ეტაპობრივად განახორციელა ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისთვის ბრძოლა. მან დათრგუნა ურჩი ფეოდალები, განკვეთა უღირსნი და წარმოაჩინა ზნეობრივი ეპისკოპოსები. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1104 წ.) შემდეგ დავითმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სრული მხარდაჭერა მოიპოვა და ქვეყანაში სტაბილურობა დაამკვიდრა, რამაც მმართველობის სისტემაში დაწყებულ რადიკალურ ცვლილებებთან ერთად, მას რეფორმების გატარებისა და ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების საშუალება მისცა. დავით აღმაშენებელმა „განამრავლა სპანი“, ჯარში წესრიგი დაამყარა, შეცვალა საომარი ტაქტიკა და ეფექტური სადაზვერვო სტრუქტურა ჩამოაყალიბა.

ქვეყნის სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად, ჩრდილო კავკასიიდან დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები ჩამოასახლა და ორმოცათასიანი არმია შექმნა. ძლიერმა მონარქმა ზედიზედ არაერთი ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვება მოიპოვა, კერძოდ: აიღო ზედაზნის ციხე (1103 წ.), ერწუხთან ბრძოლაში გამარჯვების (1104 წ.) შემდეგ საბოლოოდ შემოიმტკიცა კახეთ-ჰერეთის სამეფო, შემოიერთა სამშვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), ტაოს მხარე (1116 წ.), გიში (1117 წ.), ლორე (1118 წ.), დმანისი (1123წ.) და ანისი (1124 წ.).

უმუშარი, გონიერი მონარქის მიერ ქვეყნის დამპყრობლების წინააღმდეგ წარმოებული ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლები დიდგორთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით

(1121 წ.) დაგვირგვინდა, რასაც თბილისის განთავისუფლება მოჰყვა (1122 წ.).

საქართველოს გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი დავითმა ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა და მომხდურის უღლისაგან გათავისუფლებული ქალაქი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრად აქცია.

ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი მეფე შემწყნარებლობას იჩენდა სხვა რელიგიების მიმართ, მფარველობდა სხვადასხვა კონფესიებსა და სათანადო პირობებს უქმნიდა მათ წარმომადგენლებს.

ქართულმა ეკლესიამ დავით IV აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა, ხოლო სახელოვან მეფეს მადლიერმა ქართველმა ხალხმა, მონიწივისა და პატივისცემის ნიშნად, „აღმაშენებელი“ უწოდა.

„დიდი სახელითა და უდიდესი საქმიითა“ – მემპტიანემ ყველა დროის უდიდესი ქართველის, სახელოვანი მეფის, შორსმჭვრეტელი სტრატეგისა და ბრწყინვალე პოეტური სტრიქონების ავტორის პიროვნული ღირსება და მოღვაწეობის მასშტაბები ამ მოხდენილ, ლაკონურ ფრაზაში ჩაატია. XI-XII საუკუნეების საქართველოს, დავითის სახით ჰყავდა უგანათლებულესი მონარქი, დიდი პოლიტიკოსი, მაღალი ეროვნული იდეალების მატარებელი, ტრადიციულ ფასეულობათა დამცველი, ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, მონყალე და შემწყნარებელი, ღვთისმეტყველი და ჰიმნოგრაფი მმართველი.

განსაცვიფრებელია საქვეყნო საქმეებით დაკავებული მონარქის მისწრაფება ცოდნის გაღრმავებისა და სრულყოფისკენ. წიგნი იყო მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი – ომში, ნადირობასა თუ მგზავრობისას. მას ყველგან თან დაჰქონდა ჯორ-აქლეიმებზე აკიდებული „ბიბლიოთეკა“. ერთხელ, გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნის კითხვით გატაცებულს, ვერც კი შეუნიშნავს თავს მტერი

როგორ წამოადგა.

დავით აღმაშენებელი ხალხმა დიდების შარავანდედით შემოსა. დავითი მფარველობდა საქართველოში მოსულ მუსლიმ მეცნიერებს, პოეტებსა და სუფიებს, რომელთაც პატივით იღებდა და ყურადღებით უსმენდა. ცნობილია, რომ მათთვის მეფემ საგანგებო თავშესაფარიც კი ააგებინა. ისლამისა და ყურანის ჩინებული მცოდნე, სახელოვანი მონარქი განჯის ყადს სარწმუნოებრივ საკითხებზე ეკამათებოდა, ხოლო მაჰმადიანი ქვეშევრდომების პატივსაცემად, მეჩეთში დადიოდა. იგი თანაბრად მოწყალე და სამართლიანი იყო მის სამეფოში მცხოვრები ქართველების, სომხების, ებრაელებისა და მაჰმადიანების მიმართ.

მეფის პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შერწყმული ანტიკური ეპოქის სიბრძნე და ქრისტიანული სათნოება – ცოდნა და რწმენა. დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა, მის მიერ შექმნილი ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუში „გალობანი სინანულისანი“ ამ ორი საწყისის ბრწყინვალე სინთეზია. „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებლის ზნეობრივი პორტრეტია. მის კაცთმოყვარე ბუნებას, მეობას, შინაგან არსს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს პოეტური აღსარება, რომელიც სახელოვანმა მეფემ თავის ქვეყანას, შთამომავლობასა და ისტორიას დაუტოვა. საგალობლებში დავითი პირველ პირში გვიამბობს ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის შეუფერებელ მიწიერ სისუსტეებზე: „მომხიბლავი გულწრფელობით და შემზარავი ძლიერებით“ (ივ. ჯავახიშვილი) წარმოჩნდა საგალობელში მეფის სულიერი სიმტკიცე და უკიდურესი თავმდაბლობა. საკუთარ ცოდვათა დასაბამს იგი ადამის ძის პირველცოდვის კოსმიურ ფაქტში ხედავს. მეფე-პოეტი ადამიანს ღმერთის ხატად მოიაზრებს, რომელმაც უნდა შეიცნოს საკუთარი ღვთაებრიობა, გაიაზროს გარესამყარო, ლოცვითა და მონანიებით, კათარზისის გზით ამაღლდეს, რათა პირნათელი დაუბრუნდეს უფლის წიაღს.

დავითი, ამქვეყნიური დიდების მწვერვალზე მყოფი კაცი, საგალობელში სულის შესაშურ სინატიფეს ავლენს. ქრისტიანი მონარქი, რომლის სამეფოშიც, თანადგომისა და სიკეთის მაძიებე-

ლი მაჰმადიანი პოეტები და ფილოსოფოსები აფარებდნენ თავს, ეჭვობს:

– ვაითუ, მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნები ქრისტიანობის ინტერესით კი არა, ჩემი პატივმოყვარეობის გამო დავიპყარიო. ხელმწიფე, რომელიც ქვრივ-ობოლთა და შეჭირვებულთა დასახმარებლად უზარმაზარ შესაწირს გასცემდა, დარდობს: – ვაითუ, არასაკმარისი წყალობა გავიღეო.

დავით აღმაშენებლის ზნეობრივი პორტრეტი მის პოეტურ შედევრზეც აღიბეჭდა, სადაც ქართველი ერის სათაყვანებელი გმირის სულიერი სიმაღლე და ქრისტიანული სათნოება პოეტურ სახეებად განეფინა.

ბალობანი სინანულისანი

გალობა პირველი

რომლისაცა წინაშე ქედდადრევილ არს ყოველი,
მუხლი ყოველი მოდრკების და ენად ყოველი შენსა ხმობს
აღსარებასა,
მეცა, სიტყვაო,
აღმსარებელსა მომხედენ!

ხატსა თვისსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფობისად დამაწესე შენებრ არსთა
სიტყვებისა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ.

ბუნებითნი რად ძალნი
არა სჯულთაებრ ვიხუმიენ
მსგავსებისაგან დავაკლდი და დავაჰბადე ბოროტი,
ხოლო ხილულთამიერსა გემოვნებასა
ვრცელად განუხვენ გრძნობანი.

ქალწულო, ბრალეულთა თავმსდებო,
რომელმან სიტყუად
განაზრქე ხორცითა და კარვითა მიწისადათა,
სიზრქე უსასოებისად განმძარცვე,
რადთა მონანული შეგივრდე შენ!

გალობა მესამე

ბუნებითსა რად პორფირსა
თვითმფლობელობასა თანა
მეფობისაჲცა შარავანდნი
მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა
მონად მივჰყიდე თავი,
რამეთუ „რომლისაგანცა ვინ
ძლევულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ“.

კაენის მკვლელეებრი ცნობაჲ,
სეთის ძეთა ლირწებაჲ,
გმირთა სილოდით მავალობაჲ
ხუთქალაქელთა შეგინებისა მწვირე
უფროდსად ვამრავალნილე,
ვითარცა რად აღმართ მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისამან.

მეგვიპტური გულმძიმობაჲ,
ქანანელთა ჩვეულებანი,
მსხვერპლვად ნაგებთაჲ, ზმნაჲ და სახრვად,
კონოლი თმათაჲ და სხვანი, რომელთაჲ
შენ ჰბრძანე არამსგავსებაჲ,
უნარმდებესად მოვიგენ
თვით მათ პირმშოთა სახეთასაცა.

ამისთვის იყო ქალწული
და ხორცქმნად სიტყვისაჲ,
რადთა დედობრივთა ოხათა მიერ

ცხოვნიდნენ ცოდვილნი, რომელთა პირველი,
საშუალო და დასასრული
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილნებისა ღვართად!

გალობა მეოთხე

ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევდ, გარნა უსჯულოთა
და რავდენ მეძლო, ვსცდებოდე მაღალთა ზედა
კუმევისა, და წარმართთა აღრევისა მიერ,
და ძალთა ცისათა თაყუანისცემისა.

ზენადსა მოძრაობისა
ასურასტანული ზმნობად,
და ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა
კრებად და განყრად, სვე და ბედი და შობის დღე,
ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.

ელლინთა მიერ ვერ ცნობად
სიბრძნითა ღმრთისადთა ღმრთისად
და შემოქმედისაგან შექმნულთა მიმართ
ცვალებად თაყუანისცემისად სრულვყავ, რაჟამს
თითოეულსა ვნებისა კერჰსა ვჰმსახურე.

ამისთვის ღმერთ-მამაკაცებრ
მოქმედ იქმნა ზემთა ღმერთთად,
რადთა კაცებრ უწყოდნის ვნებანი ჩვენნი,
და ღმრთებრ იხსნიდეს ბრალთაგან,
რომელთა ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედად!

გალობა მეხუთე

სჯულნი დავთრგუნენ
წიგნისანი და ახალი ბუნებითურთ,
და შჯულისა შენისა მონამე, სჯული
გონებისად, ცოდვისა
და ხორცთა სჯულსა დავამონე.

თითოეულთა
მხეცთაგან შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე,
მრავალგვარსა და მრავალხატსა, და სხვა-ჟამ სხვებრ
ხილულსა
და მკსენარსა
ბუნებისაებრ თითოეულისა.

არა შევძრუნდი
მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი
შურსა სიკუდილისასა მიჰხდის, რომელნი ჩემებრ
მიმდემად ცრუდ ფუცვიდენ
განსაკრთომელსა სახელსა შენსა.

ამისთვის სისხლთა
ქალწულებრივთგან ხორცნი ღმრთისანი
და ახალი შეზავებად, ღმერთი და კაცი,
რადთა იოხდეს დედად
ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა.

გალობა მეექვსე

სოლომონისადასა

წურბლისა მსგავსად ვერ მაძლარი

სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად და
ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ,

ვითარცა მცირეთა და უნდოთა

ჩემისამდე უძღვებებისა და გულისთქემისა.

ბოროტად გარდავჭხედ

საზღვართა და შევჭრთე სახლი სახლსა,

და აგარაკი აგარაკსა, და უუძღურესთა

მივჭხვეჭე ნაწილი მათი

და ვიღვნიდ უმეზობლობასა,

ვითარცა მარტოვ ვმკვიდრობდ ქუეყანასა ზედა.

მბრძოლ ვექმენ ყოველთა

წესთა შჯულისა შენისათა

და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა,

და სახეთა მიერ ბოროტთა

მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი,

ვითარცა მეფეთა მისთა - ისრაელი.

ამისთვის ქალწული

ღედად და შობად ახალი

სიტყვისად, რადთა ახალი ხატყოფად მეორედ მისცეს

ცოდვით განმრყენელთა მისთა,

ღედობრივთა რად ოხათა ბრძმედითა

დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისად!

გალობა მეშვიდე

ვეცხლი, ვითარცა
მიწად, და ოქროდ, ვითარ თიხად უბნისად ვიუნჯენ,
თაყუანის ვეც ანგაჰრებისა მამონას,
ვითარ-იგი ძველთა მათ -
ბაალს და ასტარტეს
და ქამოსს საძაგელსა.

სიტყვად წმიდად და
ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო
მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე,
და შემასმენელთანი
დავიტკებენ მზრახვანი,
და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.
ცრემლნი ქვრივთანი
და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არ შევიწყალე,
არა განუხვენ ნაწლევნი მოქენეთა,
უფროდსლა, შენ, ქრისტე,
რომელი იზრდები
მცირედითა ზრდითა მათითა.
ამისთვის შობად
ღმრთისად აღამიანისაგან დედაკაცისა,
რადთა მიწით შობილთა კაცთა ცთომასა,
ვითარცა ღმრთისა დედად
დაჰხსნიდეს ქალწული,
და იოხდეს ცოდვილთა.

გალობა მერვე

ესენი ვცოდენ, სახარებისა სჯულთა
და მცნებათა შენთა შინა,
მცემელთა რად ყვრმლისა მიჰპრობასა
და გლახაკათაჲს განშიშველებასა,
და რადთურთით არა ფიცსა
შენ, სჯულისმდებელი ჩემი, ჰბრძანებდი
და გულისთქუებით მიმხედველობასა განსრულებად
მრუშებად დასდებდი.

დალათუ ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრძნობანი
და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ,
გარნა არავე აღვიხვენ ხელნი,
არცა დავდევ სასოებად ჩემი
ღმრთისა მიმართ უცხოვსა, არცა
უცხოთესლი რადმე სარწმუნოებად
საწვრთელ ვყავ სულისა, გარეშე მისსა,
რომელი მასწავეს ღმრთისმეტყველთა შენთა.

და ან, მომდრეკელი მუხლთა გულისათად,
ვხმობ, ვითარცა სხუად მანასე:
მილხინე, ჰოი მეუფეო, მილხინე
და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა,
და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთად,
ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.

საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უხრწნელო
ქალწულო, და გვრწამს, ვითარმედ
პატივი ხატისა შენისად შენდამო
წიაღმოვალს, ღმრთისმეტყველთაებრ,
და ცოდვილთა მოქცევასა
ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხადჰყოფს,
თეატროდ იგი მრჩობლთა სოფელთად,
სიკეთე ეგვპტისად, ღირსი მარიაჲ.

გალობა მეცხრე

ჟამი რად წვლილთა და ხმელთა აღმოფშვინვათად
წარმოდგეს,
ზარი მეფობისად წარხდეს და ღიდებად დაპრტეს,
შუებად უქმ იქმნნენ,
ყვაუილოვნებად დაჭნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრად,
სხვასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემინწყალე, მსაჯულო ჩემო!
გან-რად-ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა
და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვად ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგვემდეს ცეცხლი,
მაშინ შემინწყალე, იესუ ჩემო!

ვინადთან აღსაარებით გრძნობად და შეკრებად იწყო
ძვალი ძვალსა თანა და ნანევარი ნანევარსა,
და განხმელთა მოჰბერა
სული კვალად შობისად,
მწრამს, ვითარმედ აღვსებად
სრულყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისად.

მარტო, სრულო, სამზეო, ერთცისკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისად, რაგთა
გიხილო ნათელი
ნათლითა უფლისადთა,
სულითა ღმრთისადთა ძე
გამოგვიბრწყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა.

არად უხილავს მგესა ქალწული დედად თვინიერ შენსა,
არცა ჩემოდნად ბრალეულსა – ნათელი მისი,
გარნა მე შენითა
ოხითა, დედოფალო,
ვესავ ხილვად ნათელსა
ძისა შენისასა
და ნათელსა ზემთა საუკუნეთასა.



სიქობი I

1093-1156

საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის ვაჟი. გვირგვინოსანი მამის სიცოცხლეშივე დემეტრე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეფობდა 1125-1155, 1156 წლებში. ძლიერი ბუნებით გამორჩეული მეფე შუა საუკუნეების ტიპური მონარქი იყო.

ტახტზე ასვლის შემდეგ დემეტრე I თავდადებით იბრძოდა სახელოვანი მამის მიერ გაერთიანებული, ძლიერი სამეფოს დასაცავად. მოკლე დროში მან მოახერხა საქართველოს ლაშქრის რეორგანიზაცია, მონინალმდევის მიერ მიტაცებული მხარეების დაბრუნება და ზოგიერთი ძლიერი მეტოქის დამარცხება. მტრის გაათრეული წინააღმდეგობის მიუხედავად, დემეტრემ დმანისი და ხუნანი დაიბრუნა, აიღო განჯა (1138 წ.) და ქალაქის კარი საქართველოში ჩამოიტანა (კარი ღღემდე გელათის მონასტერშია დაცული).

1130 წელს დემეტრე I-მა ჩაახშო მის წინააღმდეგ მონყობილი აჯანყება და სამეფო ტახტი შეინარჩუნა.

1155 წელს იგი იძულებული გახდა ბერად აღკვეცილიყო და სამეფო ტახტი თავისი უფროსი ვაჟის, დავითისთვის გადაელოცა.

1156 წელს, გამეფებიდან ნახევარი წლის შემდეგ მეფე დავით V მოულოდნელად გარდაიცვალა. დემეტრე I კვლავ გამეფდა და თანამოსაყდრედ უმცროსი ძე, გიორგი დაისვა, რომელიც ისტორიოგრაფიაში მეფე გიორგი III-ის სახელით არის ცნობილი.

* * *

მეფე დემეტრე I (ბერობაში დამიანე), ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი ფიგურა საქართველოს ისტორიაში, ბრწყინვალე საგალობლების ავტორია. გარეჯის უდაბნოში ბერად შემდგარმა დამიანემ უნატიფესი იამბიკონი უძღვნა ღვთისმშობელსა და შიო მღვიმელს – ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს. დემეტრე პირველი ღრმად განსწავლული, მეცნიერთა და სწავლულთა მფარველი, შემწყნარებელი, დიპლომატიური ნიჭით გამორჩეული,

სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებს აღწევდა და მამის მიერ დატოვებულ სახელმწიფოს გაძლიერებასა და გაფართოებაზე დღენიდავ ზრუნავდა. დავით აღმაშენებელი ასე ახასიათებს თავის საამაყო პირმშოს: „...შვილი ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვანებითა და სიმხნით უმჯობესი ჩემსა“...

„ამდენი რამის მოქმედი“ მეფე დემეტრე თითქმის დაჩრდილა პოეტმა დამიანემ ოთხადოთხი იამბიკოთი, განსაკუთრებით, დღესაც ცოცხალი, ძალზე პოპულარული საგალობლით „შენ ხარ ვენახი“.

ამ სანაქებო საგალობლისთვის იმთავითვე მელოდიაც, ხმაც შეუწყვიათ და მზახრით (პირველი ხმა – მოძახილი), ყირით (მეორე ხმა) და ბამით (ბანით) აჟღერებულს ქართული პოლიფონიური სიმღერა-გალობის მრავალსაუკუნოვან, უნიკალურ საგანძურში დაუვანებია. (ხმათა სახელები იოანე პეტრინს ეკუთვნის და XII საუკუნის დასაწყისშია შერქმეული, იმ დროს, როცა იქმნებოდა „შენ ხარ ვენახი“. ღმერთის სამსახოვნებაში სწორედ ამგვარი სიმღერა-გალობის სამხმიანობას გულისხმობდა იოანე პეტრინი). ათასი წელია, რაც „შენ ხარ ვენახით“ დედაღვთისას უგალობს ქართველი კაცი. არ ბერდება, არ ხუნდება, არ ცვდება არც ლექსი, არც გალობა, არც მისი ზემოქმედების ძალა.

დავით გარეჯის უდაბნოს იღუმალეებასა და მყუდროებაში იშვა მეფე-პოეტის იამბიკონი. ჰიმნოგრაფმა მეფემ მუსიკითა და პოეზიით უდაბნოს დუმილი დაარღვია, შორეული და მიუწვდომელი ღმერთი დაიახლოვა, სამყარო გააერთიანა, ცოცხალი მუსიკა, ზეხმა გვაგრძნობინა, განგვაცვიფრა, თავადაც შეიცნო და ჩვენც გავვანდო, რომ ადამიანი დიდი, მარადიული სიცოცხლის ნაწილია. ეს განცდა სულს ათავისუფლებს და სიხარულს, სიყვარულს, ჰარმონიას აზიარებს ადამიანს. ეს არის უფალთან წილნაყარი, სრულყოფილი ადამიანის რენესანსული ხედვა.

ღრმა რწმენამ დემეტრე I-ს გარესამყაროსა და სიცოცხლის ახალგაზრდული აღქმა და სულიერი სიმშვიდე მოუტანა. დემეტრეს საგალობელი ლირიზმით, შედარებებითა და სახეებით, მიმზიდველი პოეტური ხედვით საუკუნით ადრე ამზადებს ნიადაგს

რუსთაველის პოემის, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკისა და ფერთ-მეტყველებისათვის.

შიო მღვიმელი განდევილი ბერისათვის გამორჩეული წმინდანი და მესაგრეობის მაგალითია. ენით უთქმელი ნეტარება, სიმსუბუქე და აღმაფრენა სუფევს შიოს უდაბნოში: უდაბნო ქალაქყოფილია – მარადმწვანე დაფნა შეამკობს მას, ქართლი მადლითაა სავსე, მოხუცი არწივობს, ვინრო მღვიმე სამყაროსავით ფართოა, უდაბნო „იბერწიწულებს“ – მომავალში შეიმატებს დიდებას კვლავაც, სული აღვთისდება (განიღმრთობა), ხორცი კი მიწად მიიქცევა.

დემეტრეს მეოთხე იამბიკოც შიოს ქებადაა მიჩნეული, თუმც ამის მინიშნება იქ არ ჩანს: ცაზე ბენვით კიღია კაცი, შუბის ნვერზე დარბაზები უდგას, ქინქლაზე ზის, მინდორში ქურციკებს სდევს, ზღვაზე ცხენს აჭენებს, მაგრამ მაინც ღვთაების მადიდებელია, ღმერთის ყოვლისშემძლეობის მსასოებელი.

განუზომელია დემეტრე მეფის, პოეტისა და ჰიმნოგრაფის ღვანლი ქართული რენესანსული პოეზიისა და, ზოგადად, კულტურის საფუძვლების მომზადებაში.

1. შიო მღვიმელისა

შენის დაფნისა იშიოებს ასურსა,
ისავსებს ქართლი ნილოდსა ნაკადულთებრ. ორბობს
მოხუცი, მღვიმე ფართობს სამყაროდ, იბერნისწულებს
მრავლად უდაბნოს ესე,
სულსა აღმრთისებს, მტვერისა მტვერად დამტევი.

2. შიო მღვიმელისა

ცასა ბეჭვითა ევიდა, ვნახე, კაცი
და მასვე კაცსა შუბის წვერს ედგნეს დარბაზნი, მუმლსა
ზედა ჯდა, მინდორს სდევედა ქურციკთა, და ზღვასა
ზედა მოარბევდა ცხენითა,
და ესრეთ ღალადებდა: ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ!

1. ღმრთისმშობლისა

ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი დედა,
ქალწული, შვენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი: შენგან იშვების
მეფე გვირგვინოსანი,
და მას ჰმონებდეს მეფე მრავალყმოსანი.

2. ღმრთისმშობლისა

შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი,
ედემში დანერგული, ალვა სულნელი, სამოთხით
გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული, და თავით
თვისით მზე ხარ განბრწყინებული.



თამარ ქუე

1184 – 1213

საქართველოს მეფის, გიორგი III-ის ასული. გვირგვინოსანმა მამამ 1178 წელს თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში, მამის გარდაცვალების შემდეგ (1184 წ.) კი დამოუკიდებლად მეფობდა.

დიდგვაროვანმა ფეოდალებმა თამარს მოსთხოვეს გადაეყვინებინა გიორგი III-ის დროს დაწინაურებული მოხელეები. ასევე, დაეარსებინა ახალი სახელმწიფო ინსტიტუტი, ე.წ. „კარავი“, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქცია ექნებოდა. ამ შემთხვევაში მეფეს მხოლოდ აღმასრულებლის ფუნქცია რჩებოდა. თამარი იძულებული გახდა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. კარვის დაარსების იდეა ვერ განხორციელდა, მაგრამ სამაგიეროდ, გაფართოვდა იმხანად არსებული დარბაზის ფუნქციები.

1185 წელს თამარი გათხოვდა. მას თანამეცხედრედ შეურჩიეს როსტოვ-სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლუბსკის (წარმოშობით – რიურიკოვიჩის) ვაჟი იური, რომელსაც ქართველებმა გიორგი უწოდეს. რუსი უფლისწული თამარის მეუღლეობისთვის სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა და ეს ქორწინება ორ წელიწადში დაირღვა.

1189 წელს თამარი მეორედ გათხოვდა. ამჯერად მისი მეუღლე გახდა შორეული ნათესავი, საქართველოს მეფე გიორგი I-ის შთამომავალი, ოსეთში გადახვეწილ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი დავითი (ოსურად სოსლანი).

თამარის ყოფილმა მეუღლემ, გიორგიმ, ქართველ ფეოდალთა ნაწილის დახმარებით, საქართველოს ტახტის ხელში ჩაგდება ორჯერ (1191 და 1193 წლებში) სცადა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. თამარმა შესძლო აჯანყებულთა დამარცხება, ხოლო ამბოხში გარეულ ფეოდალებს თანამდებობები და მამულები ჩამოართვა.

თამარმა თავი გამოიჩინა როგორც ღირსეულმა, გამჭრიახმა მონარქმა. მისი მეფობის პერიოდში განმტკიცდა საქართველოს ერთიანობა და განივრცო ქვეყნის ტერიტორია.

მეფე თამარი მეორედ დაქორწინდა 1189 წელს დავით სოსლანზე. 1193 წელს თამარს და დავით-სოსლანს შეეძინათ

მემკვიდრე – გიორგი-ლაშა (მომავალი მეფე გიორგი IV). ქართველთა ჯარმა ეს ამბავი ბარდავის მიმართულებით ლაშქრობით აღნიშნა და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა.

საქართველოს ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა: 1195 წელს შამქორთან და 1202 წელს ბასიანთან ბრძოლებში. 1199-1203 წლებში საქართველოს შემოუერთდა მაჰმადიანი დამპყრობლებისგან მიტაცებული სომხეთის ქალაქები და მხარეები, მათ შორის: ანისი, ღვინი, ამბერდი, ბიჭნისი, კარი (ყარსი).

1204 წელს თამარის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ტრაპიზონის საკეისრო. მას სათავეში ჩაუდგა ბიზანტიაში დამხობილ კომნენოსთა დინასტიის წარმომადგენელი, საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილი ალექსი კომნენოსი. 1184-1213 მეუღლის, დავით-სოსლანის გარდაცვალების (1207 წ.) შემდეგ, თამარმა თავისი ვაჟი გიორგი-ლაშა თანამოსაყდრედ გამოაცხადა.

თამარის მეფობის ხანაში საქართველომ დიდების ზენიტს მიაღწია, გაძლიერდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად მოლონიერდა, განვითარდა ქართული კულტურა. სწორედ იმხანად დაიწერა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

თამარს ძლიერი და მტკიცე ხასიათი ჰქონდა. მემკვიდრის დახასიათებით, იგი უაღრესად თავმდაბალი, ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, ქველმოქმედი და შემწყნარებელი ყოფილა.

ქართულმა ეკლესიამ თამარი წმინდანად შერაცხა.

* * *

წმინდა დედის, თამარის იამბიკონი ქართული სასულიერო პოეზიის მშვენიერია.

სამეფო საქმეთაგან მოცალეობისას, ღამღამობით თამარი ქსოვდა, ქარგავდა და ამით თავის დღიურ საზრდოსაც ანაზღაურებდა და გლახაკებსაც განიკითხავდა. ხაზინიდან გაცემულ მონყალებას პირად სათნოებად არ მიითვლიდა. შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში თამარის სულის სიმტკიცე და გმირული

შემართება ამხნევებდა ჯარს. შამქორში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ხალიფას დროშა შალვა ახალციხელმა ივდო ხელთ ფიცხელი ბრძოლით და მეფეთ-მეფე თამარის ფერხით დაფინა. ეს დროშა მეფეს გელათში ხახულის ღვთისმშობლის ხატისთვის შეუწირავს, ღვთის სადიდებლად კი იამბიკონი გამოუთქვამს. უცნობი ავტორის მატეანეს, რომელიც ცნობილია სახელწოდებით: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-თანი“ შემოუნახავს თამარის ლექსები „ცასა ცათასა“ და მისი შექმნის ისტორია: „დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღვთისმშობელისასა, მსგავსად მამის ჰაჰისა მათისა: მაშინ მას წარეგზავნა მოძრცვილი ქედისაგან დორბეზე სადაყას ძისა, ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა მანიაკი ოქროსა, შემკული თვალებითა ძვირფასისათა. მიზეზად ძლეუნისა შემწირველობისასა და მვედრებ-ლობისასა ამანცა ესევეითარად ესე იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერა.“

მანიაკის, დროშისა და აგარიანთა მოსრვის ამბავს მეოთხე-მეხუთე იამბიკოში აღწერს თამარი. პირველი სამი ფილოსოფიური ხასიათისაა: ცების ცას, ზედ რომ სასუფეველია (საბა), შესაქმის, ჯვარცმის, ქრისტეს მხსნელი ვნებების, სიკვდილის სიკვდილითა დათრგუნვის ამბავს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს მეფე-პოეტი და ღვთისმშობელს შესთხოვს:

„... მე, თამარ, მიწა შენი დამიერვე
ცხებულსა ღირსმყავ და თვისობასა
ელემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით“.

თამარის სახელით კიდევ ორი იამბიკოა ცნობილი: 1193 წელს მეფეს ხახულის ღვთისმშობლის ხატი შეუმკია და, ძეობის აღსანიშნავად, ხატზე იამბიკო წაუნერია, რომელიც ასე მთავრდებოდა (პირველწყარო დაკარგულია):

„მე, თამარ მჩენი ტომთაგან დავითიანთა
თესად, შემამკვე, მაღიდე, აღმამალლე!
ან მეცა ხელ ვყავ შემკობად ხატსა თქუენსა
დედითა ძითურთ და მეცა ძითურთ მფარველ“.

„მე თამარი, დავითიანთა ტომის (დავით წინასწარმეტყველის მოდგმის) ნათესავად მჩენელი, შემამკვევი, განმადიდე და ამამალ-
ლუე (როგორც მეფე და დედა); ახლა მეც შევამკვე თქვენი ხატი
დედითა ძითურთ და მეც ძითურთ მფარავდე.“

ცასა ცათასა

იამბიკო ხუთეული

ცასა ცათასა დამწყებ არს ღმერთმთავრობა,
ძე საუკუნობს პირველი და კვალადი,
სულმან მან ღმერთმან სრულყო მოქმედებადი,
სამებით სრულმან ერთითა ღმრთეებითა,
მინით პირველის, პირმშოისა კაცისა.

შენ მიერ მისთვის დრკუსა მის განმგებელი
დრკუი მიდრკა უვნებელი ვნებისადმი,
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ყო,
შენგან შობილმან ჩვენ ღირსგვყვნა აღმოშობად
ბნელით ნათელსა, ნათელთა მხედველობად.

შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირსმყავ და თვისობასა.
ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით.

შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ-სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღვანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით.

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მხედარნი, მოსავენი შენნი, სძალო,
მონყლნეს, მოსწყვიდეს აგარის ნათესავენი.
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევწირავ. მიოხე ძეებრ, ღმერთო!



თეძე-უზაზე I

1589 – 1663

კახეთის მეფის, დავით პირველისა და ქეთევან დედოფლის ვაჟი 1606-1648 წლებში კახეთში მეფობდა, ხოლო 1625-1632 წლებში – გაერთიანებულ ქართლ-კახეთში.

ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული დედოფლის, წმინდანად შერაცხული ქეთევან წამებულის გვირგვინოსანი ვაჟი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო.

თეიმურაზი შეუპოვრად იბრძოდა სპარსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ, რამაც განსაკუთრებით მძიმე ხასიათი მიიღო შაჰ აბას I-ის მეფობის ხანაში.

სპარსეთთან ხანგრძლივ ბრძოლაში ჩაბმული თეიმურაზი დახმარების მიღებას ცდილობდა როგორც ერთმორწმუნე რუსეთიდან, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ამ მიზნით მან არაერთხელ გააგზავნა ელჩობა რუსეთში, რასაც რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

1658 წელს თეიმურაზ I თავად გაემგზავრა ერთმორწმუნე რუსეთში სამხედრო დახმარების სათხოვნელად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მან რამდენჯერმე დაკარგა სამეფო ტახტი და განდევნილ იქნა საკუთარი სამეფოდან. ბედმა თეიმურაზს მრავალი განსაცდელი არგუნა: სპარსეთის შაჰის ბრძანებით დაასაჭურისეს მისი ორი ვაჟი – ლევანი და ალექსანდრე, წამებით მოკლეს მისი დედა – ქეთევანი, ხოლო მოგვიანებით ბრძოლაში მოუკლეს ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ვაჟი – დავითი (დათუნა).

1661 წელს თეიმურაზი ბერად აღიკვეცა და სკანდეს ციხეში განმარტოვდა.

მალე თეიმურაზი სპარსეთში გაიწვიეს და კახეთის სამეფო ტახტის დაბრუნება აღუთქვეს იმ შემთხვევაში, თუ გამაჰმადიანდებოდა. ამ პირობაზე თეიმურაზმა მტკიცე უარი განაცხადა, რისთვისაც შეიპყრეს და ასტრახადის ციხეში გამოამწყვდიეს. 1663 წელს, 74 წლის ასაკში თეიმურაზი საპყრობილეში გარდაიცვალა. მისი ნეშტი ქართველებმა სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს.

XVI-XVII საუკუნეები ქართული მწერლობის „აღორძინების ხანად“ მოიაზრება. „ოქროს ხანის“ საქართველოსგან იმხანად, მართალია, აჩრდილილა დარჩა, მაგრამ მძიმე ვითარების შემდეგ ქვეყანაში კვლავ შეიქმნა კულტურული ცხოვრებისა და ტრადიციების გამოცოცხლების წინაპირობა.

თეიმურაზი თეფესმეტი წლის ასაკში გაამეფეს, მაგრამ მას არ ჰქონია თანმიმდევრული ზეობის წლები – ტახტიც მრავალჯერ დაუკარგავს და ხიზნობა-დევნილობის სიმწარეც უგემია. ბავშვობიდან ირანში, შაჰაბას I-ის კარზე იზრდებოდა. „მზრდელმა“ შაჰა-ბიძა დაუხოცა, შვილები დაუსაჭურისა, დედა – ქეთევან დედოფალი შირაზში სასტიკად უწამა.

მართალია, თეიმურაზი „ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარს-თასა“, მაგრამ შაჰ-აბასმა მაინც ვერ შესძლო, თავის ყაიდაზე გაენათა, „სჯულსა და წესსა თვისსა ზედა“ დაეყენებინა მომავალი მეფე. თეიმურაზის შემოქმედებამ დაუდო სათავე აღორძინების ხანის მწერლობას. მან დაამკვიდრა არაერთი ლიტერატურული ჟანრი, რამაც ტრადიციულ თემატიკას სიახლე და მრავალფეროვნება შესძინა. თეიმურაზს, მაჯამის ვირტუოზს, „მაჯამის ამირბარი“ უწოდა იოსებ გრიშაშვილმა. მან ასევე განავითარა გაბაასების ჟანრი, ანბანთქება, შემოიტანა ლირიკული ნაკადი, განაახლა ქართული ლექსთწყობა, დაწერა პირველი ისტორიული პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. ქეთევან დედოფალი 1624 წლის 12 სექტემბერს აწამეს შირაზში. დედის ტრაგიკული აღსასრულიდან შვიდი თვის შემდეგ, ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ აღწერა და შემოგვინახა თეიმურაზმა დედის მონამებრივი აღსასრულის ამბავი. იგი სამართლიანად მიიჩნევს სამშობლოს თავისუფლებისათვის გაღებულ შესანიშნავ ქეთევანის საარაკო თავგანწირვას.

მთელი ქრისტიანული სამყარო შეძრა ქეთევან დედოფლის გამძლეობამ და სიმტკიცემ. იტალიელმა მისიონერებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წაიღეს დედოფლის წმინდა ნაწილები, მათ

შორის შორეულ ინდოეთშიც, სადაც მეცნიერებმა მიაკვლიეს და ზოგიერთი ნაწილი საქართველოში ჩამოაბრძანეს. გერმანელმა მწერალმა ანდრეას გრიფიუსმა შექმნა ტრაგედია, სახელწოდებით: „ქართველი ქალი ეკატერინე ანუ ნაცადი სიმტკიცე,“ რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა და სხვადასხვა ენებზე ითარგმნა.

თეიმურაზის შემოქმედებაში გვხვდება როგორც სპარსული-დან თარგმნილი, ისე ორიგინალური ნაწარმოებები. „ლეილმაჯუნე-ნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდბუღულიანი“, „შამიფარვანიანი“ – თარგმნილი პოემებია. ლიტერატურული მოღვაწეობით თეიმურაზი წარმოგვიდგება ქართული ეროვნული და სარწმუნოებრივი შეგნებისა და ინტერესების მატარებელ, ქვეყნის მოჭირნახულე პიროვნებად. იგი მოურიდებლად, პირდაპირ აცხადებს: „ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს მეჩიტი, მინარანია“. სწორედ „ლეილ-მაჯუნეანიში“ ევედრება ღმერთს მეფე-პოეტი: „ღმერთო..., არსისა არაარსისა სიტყვით დამბადე მქნელობით“.

აღმოსავლური პოეტური ტრადიციით დამკვიდრებულმა ვარდისა და ბუღბუღის ტრფობის ისტორიამ დასავლეთშიც მოიპოვა პოპულარობა და ისეთი ცნობილი ევროპელი მწერალიც კი მოხიბლა და ააღელვა, როგორც ოსკარ უაილდი იყო.

საინტერესოა XVI–XVIII საუკუნეების პოეტებისა და მწერლების დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი გენიალური ავტორის მიმართ. აღორძინების ხანის ყველა მეღვქვე თეიმურაზს რუსთაველთან ერთად მოიხსენიებს. მეფე – პოეტი კადნიერდება და საკუთარ თავს შოთას გვერდით აყენებს, როცა თამამად აცხადებს:

„ლექსი ჩემი სჯობს, გვარად და ტკბილად სასმენლად

ყურისა,

მაინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა“.

თეიმურაზთან მარტო სოფლის სამღურავე არ გვხვდება. მან კარგად იცის, რომ ადამიანის დაცემა „თვინიერ ღვთისა“ არ ხდება, მაგრამ სვეგამწარებული მეფე „სოფელს“ მაინც გულწრფელად საყვედურობდა:

„ღმერთო, ცისა და ქვეყნისა, საბრუნავითა მაცქეო,
ზე აღმართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაცქეო,
ზოგჯერ ჭირს ლხინად, ლხინს ჭირად, შემცვლელო,
გარდამაცქეო”...

სოფლის სამღურავი

ჩვენ ღმერთი ქებით ვადიდოთ, ცრემლითა შევსძრათ
მორევად, ის უხილავი ეშმაკი ჩვენზედ არ იყოს მორევად,
ჯოჯოხეთს შიგან არ აღძრას კუპრი მან ჩვენთვის მორევად,
და ცთომასა არსად წავადგეთ, თავი არ შევექმნათ მორევად.

შენ, ცოდვილო სულო ჩემო, სიკვდილს რად არ მოელოდი?
ჯოჯოხეთში ქვა დაგკრიბონ, არ დაგრიდონ, მოელოდი,
შენთვის ყოვლგან ღრუბელია, მზემანც დაგკრას მოელოდი,
და კერპთმსახურთა განვეშორნეთ, არსად გვხადოს
მოელოდი.

უნყის უფალმან, სოფელი არავის გაუთავდების, პირველად
ამოდ შეიტკობს, საყვარლად დაუამდების აღარ გაჰყვების,
ბოლოს უამ უმუხთლებს, გაუავდების, მე მას ვჰკმობ, ვინცა
მიენდოს, ანუ ვინმც დაუზავდების.

სოფელს მყოფნო, სოფლის საქმე გასინჯეთ და გაიგონეთ, ეს
სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ!
ან სად არის ხელმწიფენი, პირველნიცა მოიგონეთ,
და ან განავდეთ სოფლის შვება, სინანული მოიქონეთ.

სოფლის მპყრობელნო, სოფელი მე ამაღ არა მიქია,
მსაჯულად დაჯდეს მესია, პირველ ქადაგა მიქია, ცოდვანი
ჩვენნი გვემხილნენ, მაშინ რალა ვჰყოთ იქია! კაცს არ
მიინდობს ბოლოს უამს, ამისთვის გამიქიქია.

ნეტაი ყველამ იცოდეთ, სოფელი როგორ მქნელია, კაცსა
მიინდობს ღალატად, მცბიერი–ვითა მელია, ანასდად
გარდუბრუნდების, მით გული გარდამელია,
„მას არვინ უნდა მიენდოს“, – ესე ნათქვამი ძველია.

მე აჯად ვითხოვ ღვთისაგან, – არ წამინწყმიდოს სულია, მუნ
გამომიხსნას ტანჯვისგან, აღარ დამაჩნდეს წყლულია, ზოგნი
ღამეთა ათევენ, – თვალთ არ მოუვათ რულია, ზოგთა გვაქვს
შვება სოფლისა, – ამისთვის დაგვიძს გულია.

შენ, ღვთისმშობელო, კაცთათვის მანათობელი მზე ხარა,
პირველ ბჭედ საშუალ გცნობდეს, – ანგელოზისგან გეხარა,
ღმერთი წიალთა იტვირთე, სხვა კაცი არსად გეხარა,
ქრისტიანეთა ნუ წარსწყმედ შენ, გისმენს, – ვისთან სდგეხარა.



აზილ ქუე

1647 – 1713



არხილ ქეყე – გაბასება თეძურაზისა და რუსთველისა

ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის ვაჟი. მეფობდა 1661-1663 და 1678-1696 წლებში – იმერეთში (დროგამოშვებით), ხოლო 1664-1675 წლებში – კახეთში.

არჩილის მეფობის ხანაში კახეთი დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა. მან ბევრი რამ იღონა კახეთის სამეფოს წინსვლისთვის. კერძოდ, მისი მცდელობით იკლო ლეკების თარეშმა, სამეფო ეკონომიკურად გაძლიერდა, განახლდა ეკლესია-მონასტრები, აიგო მრავალი საერო დანიშნულების შენობა-ნაგებობა.

არჩილი ემხრობოდა საქართველოს რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას. 1682-1688 წლებში იგი იმყოფებოდა რუსეთში, სადაც რეალური დახმარების მიღებას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. სამშობლოში დაბრუნებულმა არჩილმა კიდევ რამდენიმე წელი იმეფა იმერეთში.

1699 წლიდან იგი საბოლოოდ გადაიხვეწა რუსეთში, სადაც დასახლდა მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატსკოეში. მისი ვაჟი, უფლისწული ალექსანდრე პეტრე პირველის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე, რუსეთის არტილერიის პირველი გენერალფელდცეიხმეისტერი იყო.

პეტრე პირველმა არჩილს მამულები უბოძა. ასე ჩაეყარა საფუძველი ქართველთა სათვისტომოს რუსეთში.

მოსკოვში არჩილმა დააფუძნა ქართული სტამბა, სადაც 1705 წელს „დავითნი“ დაიბეჭდა.

არჩილი 1713 წელს, მოსკოვში გარდაიცვალა და ღონის მონასტერში დაიკრძალა.

* * *

მეფე არჩილმა, როგორც პოეტმა, მთლიანად შეცვალა ქართული მწერლობის განვითარების გეზი. მან ხმა აიმაღლა სპარსული ლიტერატურით გატაცების წინააღმდეგ და თეიმურაზ

პირველის პოეზიაზე აღზრდილმა და დამფასებელმა (აშკარაა თეიმურაზის უდიდესი გავლენა არჩილზე, რუსთველზე რომ არაფერი ვთქვათ) უარყო სპარსული სიუჟეტები, „ზღაპრულს“, „ნაჭორს“ მან „მართლის თქმა“, რეალისტური მწერლური მეთოდი დაუპირისპირა.

ისტორიული ამბის ლექსად აღწერა პროგრესული ნაბიჯი იყო ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში („გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“; „საქართველოს ზნეობანი“...) არჩილის მოძღვრების თანახმად, მართლის თქმის პრინციპითა და წმინდა ქართულით უნდა ასახულიყო იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების ამბავი. ეს იყო ეროვნული სულისკვეთების დაცვის შინაგანი მოთხოვნილება. არსებობისთვის მეტრძოლ, „განთვითებულ“ (ილია) და დაუძღვრებულ ქვეყანას სასიკეთო საქმეების საკეთებლად არ ეცალა, ბევრ რამეზე უხდებოდა უარის თქმა (კულტურა, სწავლა-განათლება, წიგნიერება, ტრადიციები და სხვ.) არჩილი გრძნობდა, რომ ამგვარ ვითარებასთან შეგუება, ერს საბოლოო გადაგვარებისკენ უბიძგებდა.

არჩილი პირველი დაფიქრდა საყოველთაო ეროვნულ უბედურებაზე, ქართველთა ზღუდემორღვეულ ზნეობაზე და ქართულ ხასიათში წვდომის იშვიათი უნარი გამოავლინა:

„ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზგავდებიან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

„უჩემოთ ვინ იმღერეთა“ – ამგვარი დამუნათება გზაზე ელობებოდა და საფუძველშივე კლავდა საქვეყნო საქმის კეთების წადილს. კაცთმოყვარე მეფე – პოეტი ნუხდა, რომ „დაბალ კაცს არ ახსენებენ“ და გულწრფელად დასძინდა: „თუ ამოსწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდა“.

ასეთი განცდით არის დანერგილი დიდაქტიკურ-მორალისტური თხზულება „საქართველოს ზნეობანი“, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელო, ქართველი ხალხის მორალური და ზნეობრივი კოდექსია. სიცოცხლის ბოლო წლებში მოსკოვში გატარებულმა მატერიალურად უზრუნველმა და მშვიდმა ცხოვრებამ ვერ შეუცვალა მეფეს დარბეულ სამშობლოზე დარდი და ფიქრი.

1699-1713 წლები თითქოს მშვიდად განვლო არჩილმა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. პოლიტიკაში ხელმოცარულმა, სამშობლოს მონატრებულმა მეფე-პოეტმა, უდიდესი ამაგი დასდო ქართულ კულტურას და ნწლის ასაკში უცხო მიწაზე გარდაიცვალა.

ლექსნი ასნი ორმუხლნი

ასნი ორმუხლნი შაირნი ვარ მეფის გამოთქმულია,
არჩილის, ვახტანგ მეფის ძის, ბრძენთა სანუკვრად თქმულია.

მეცნიერება ბრძენთანი ღვარისებრ განმდიდრდებიან,
ბრძენთ ზრახვა ცხოვრების წყაროდ ისმის და ედინებიან.

კაცი ბრძენი სჯულდებულსა საქმეს არას მოიძულეხს,
უმეცარი უსჯულოობს, სხვათაც მაზედ აიძულეხს.

ვინ მრწემსა სწყალობს, ავასხებს უხვად წყალობის
მძლეველსა, შემწყნარებელი ობოლთა მძლე ექმნეს თავისსა
მძლეველსა.

თქვეს, ძღვენი ბრძენთა კაცის თვალს უჯეროდ
დაარწმუნებსა, უსამართლონი მსაჯულნი ქრთამს არვის
დაამგუნებსა.

სხვის მომზირალი თავისას ავს ვერას დაინახავსა,
უცები კაცი ხვაშიადს ვერათ ვერ შეინახავსა.

დაღმართ არს ცოდვა მოქმედთა, სუბუქად ჩაიტანებსა,
მადლი მიძიეა ამღებთა და ზეცათ აღიტანებსა.

თუ შენ არ მისცე, ნუცა მას ელილა რასმე მოცემას,
უჩინარისა მტრისასა ერიდე მუდამ დაცემას.

გული ნუ გითქვამს მეტს რასმე, რადგან უგუნუროთ წესია,
იფქლსა ვეროდეს შეიკრებს, ვის ღვარძლი დაუთესია.

მეგობარი ბევრი უნდა, თანაზრახი ერთი ოდენ,
საქმეს კარგად გაიმართვენ, თუ ჭკვა ორთავ სწორად
რბოდენ.

ბოროტი რამე სენია თვით-სჯულობისა ქადილი,
მაგნებელია თვისისა ნების შედგომა, წადილი.

უჟამოს მწუხარებისა სიბერე არის ნაყოფი,
გაადუხჭირებს კეკლუცთაც ჭმუნვა და ავი სამყოფი.

ღვთისმოყვარება ეს არის, კაცს ყოვლი კაცი უყვარდეს,
მოყვასი უნდა მოყვასსა, ვით თავსა შემოუარდეს.

ცული თვინიერ მცემლისა ვერ მოჰკვეთს ხეთა ძირებსა,
თუ კარგად ვერვინ ვერას იქმს, ღმერთსა მწედ დაიძვირებსა.

კაცი ასეთს კარგს რასა იქმს, ან ავსა, სხვასაც არ ექმნას,
მაშინ გამოჩნდეს ორივე, რა ორთავ ბჭობა შეექნას.

უფროსი ერთი კაცთ იჭვი ვით საზვრენ, არ იქნებიან,
მცირე გულისთქმა ბოროტი დიდ ცოდვად შეიქნებიან.

რაცა არა მაქვს, ის მინდა, რაცა მაქვს, ვერ დამიცავსა,
იმას ვერ ვშოებ და ამას დავკარგავ, წინ ეს მიცავსა.

თავს ვაბრალებდე ნუ სხვასა, ნუ ვაკლებთ ღვთის
სამართლებსა,

რისხვას შესძინებს რისხვაზედ, ვინც რუთთავს
განიმართლებსა.



ვანტანუ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული



გეორგი VI
1675 – 1737

ქართლის მეფის, ვახტანგ მეხუთის შვილიშვილი, უფლისწულ ლევანის ძე. სამეფოს განაგებდა ჯერ ჯანიშინის ანუ გამგებლის რანგში (1703-1712 წლებში), ხოლო შემდეგ – მეფის რანგში (1719-1724 წლებში). ვახტანგ VI-ს როგორც მწიგნობარ და სჯულმდებელ მეფეს ღირსეული ადგილი უკავია სახელოვან ბაგრატოვანთა გალერეაში. მეფე-პოეტის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის მოკლედ დასახასიათებლად ზოგიერთი ფაქტის გახსენებაც კმარა: თბილისში პირველი ქართული სტამბის დაფუძნება და ქართული ნაბეჭდი წიგნების, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა, ნაყოფიერი საკანონმდებლო საქმიანობა („სამართლის წიგნი“ და „დასტურლამალი“), „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის დადგენასა და რედაქტირებაზე ზრუნვა, ამ მიზნით სწავლულ კაცთა კომისიის (ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით) ჩამოყალიბება და „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია, მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებაზე ზრუნვა, მთარგმნელობითი საქმიანობა: „ულულ-ბეგის ზიჯის“ – „ვარსკვლავთმრიცხველობის“, „ქილილას და დამანას“, „ამირნასარიანის“, „ათვეზირიანისა“ და სხვა თხზულებათა თარგმნა, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბატონიშვილის, გაბრიელ გელოვანისა და სხვათა საქმიანობის ხელშეწყობა, ტაძრების აღდგენა და სხვ.

1712-1719 წლებში ვახტანგ VI იმყოფებოდა სპარსეთში, შემდეგ კვლავ საქართველოში ბრუნდება და განაგრძობს ქვეყნის მართვას.

ვახტანგი ცდილობდა ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოებას, რის გამოც დაკარგა სამეფო ტახტი და იძულებული გახდა გადახვეწილიყო რუსეთში, სადაც 1724-1737 წლებში ცხოვრობდა და ნაყოფიერ სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას აგრძელებდა.

გარდაიცვალა 1737 წელს ასტრახანში. დაკრძალულია მიძინების ტაძარში.

ვახტანგ მეექვსე ღრმად განსწავლული მწიგნობარი, მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, გამჭრიახი პოლიტიკოსი და სჯულმდებელი იყო. ისტორიოგრაფია ვახტანგს რუსთველოლოგიის მესაძირკვლედ იცნობს. მან პირველად დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, თბილისში გამართა სტამბა. იგი იყო გამომცემელი, მეცენატი, მთარგმნელი, ახალი „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორი (გამწალობავი), პოეტური სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი, საეკლესიო და საერო მწერლობის, ქართული და სპარსული ლიტერატურის ზედმინევენით მცოდნე, ქართული ლექსის რეფორმატორი. ამ ღირსებებთან ერთად, „მთელი საქართველოს მამად მიჩნეული“ (ასე აფასებდა და ასე წარუდგინა რომის პაპს – კლიმენტი IX-ს ფრანგმა მისიონერმა უან რიშარმა ვახტანგ მეექვსის ელჩი ვატიკანსა და ვერსალში, სულხან-საბა ორბელიანი) სულხან-საბას აღზრდილი ვახტანგ VI გამოირჩეოდა სამაგალითო ზნეობრივი სისპეტაკითა და ამალღებული იდეალებისაკენ სწრაფვით.

მეფე-პოეტის სახელს უკავშირდება პროგრესულ, განათლებულ მეცნიერთა დასის, სწავლულ კაცთა კომისიის შექმნა. ვახტანგის გარშემო შემოკრებილ ერთ მუჭა სწავლულთა შემართება, მართლაც რომ, სამაგალითოა. აღორძინება ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო და ამ საქმიანობის მოთავე ვახტანგი იყო. საკმარისია დავასახელოთ სულხან-საბას ლექსიკონი, რომელსაც ვახტანგმა მოხდენილი სახელი – „სიტყვის კონა“ – უწოდა. მეფემ სრულყო საბას ლექსიკონი, განსაკუთრებით, აღმოსავლური ლექსიკის განმარტების კუთხით, რისი უბადლო მცოდნეც თავად ბრძანდებოდა. სამაგიეროდ, სულხან-საბამ, ვახტანგის თხოვნით, გაჩაღა და გალექსა ირანიდან გამოგზავნილი, ვახტანგის მიერ ისპანსა და ქირმანში ტყვეობისას თარგმნილი „ქილილა და დამანა“.

მეფე ვახტანგისა და მის გარშემო შეკრებილ სწავლულთა ინტერესებით შთაგონებულ კეთილშობილ იდეებზე მეტყველებს

ქართული ისტორიოგრაფიის უნიკალური ძეგლის, „ქართლის ცხოვრების“ სისტემაში მოყვანა. ვახტანგის წინადადებით შესრულდა მისივე ვაჟის – ვახუშტი ბატონიშვილის გრანდიოზული ისტორიოგრაფიული ნაშრომი: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ვახტანგის მოღვაწეობის დიდ ეროვნულ მასშტაბებზე მიუთითებს მის მიერ 1709 წელს თბილისში პირველი სტამბის დაარსება. ბევრი შრომისა და წვალეების ფასად დაჯდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა: ქართული შრიფტი რუმინეთში ჩამოისხა. ამ საქმეში ვახტანგს დაეხმარა ჩვენი თანამემამულე, ვლახეთის მთავარეპისკოპოსი ანთიმოზ ივერიელი. მანვე გამოგზავნა თბილისში მესტამბე მისი იშტვანოვიჩი. მთელ ახლო აღმოსავლეთში (მათ შორის, ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორც ირანია) ეს იყო პირველი დაზგური სტამბა. საქართველოში პირველი ბეჭდური წიგნი, „ფსალმუნი“ 1709 წელს დაიბეჭდა, 1712 წელს – „ვეფხისტყაოსანი“. ვახტანგმა ყველაფერი იღონა ქართული პოეტური კულტურის გვირგვინის სათანადო დონეზე გამოსაცემად. პოემის რედაქტორმა, ვახტანგმა ეს შეძლო და სამართლიანად დაიმსახურა პირველი რუსთველოლოგის სახელი.

უნიკალურია პირველ გამოცემაზე დართული ვახტანგის ნაშრომი: „თარგმანი პირველი წიგნისა „ვეფხისტყაოსნისა“. აქ ვახტანგი პოემის მრავალ მტკივნეულ საკითხს შეეხო: რუსთველის მსოფლმხედველობას, ფაბულის წარმომავლობას, მიჯნურობას... ვახტანგმა „ვეფხისტყაოსანი“ აღიარა ქართულ კულტურაზე დაფუძნებულ დიდ პოეტურ ქმნილებად (რასაც იზიარებდა მარი ბროსე), უარყო „ესე ამბავი სპარსული“ და სპარსული მწერლობის ჩინებულმა მცოდნემ, დამაჯერებლად განაცხადა: „ესე ამბავი სპარსშიდა არ იპოვებისო.“ მეფე-პოეტმა ახსნა არაერთი საკამათო სიტყვა და სათავე დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის შესწავლას. ვახტანგმა რუსთველისეული მიჯნურობა მისტიკურ ალეგორიულ სამოსში გახვია და იგი საღმრთო სიყვარულად გამოაცხადა.

ვახტანგი ჩინებული პოეტი და მთარგმნელი იყო. მისი ლირიკა აირეკლავს პირად აღამიანურ ტკივილსა და ქვეყნის უკუღმართობით გამოწვეულ სევდას: ნუთისოფლის ვერაგობა და

გაუტანლობა, ნოსტალგია, ღვთისადმი სასოება, ბრძოლა დამპყრობლებთან – ვახტანგის ლირიკის უმთავრესი თემებია. მრავალფეროვან სპექტრში უპირველესი მაინც სამშობლოს სიყვარულია. სამშობლოს იძულებით დატოვებამ, ტახტის დათმობამ, პოლიტიკურმა მარცხმა შეაძრწუნა მეფე-პოეტი და მის ლირიკაში სამშობლოს ხატი ძვირფასი სატრფოსა და სათაყვანებელი არსების სახით გააჩინა. ტროპული მეტყველების ამ ხერხმა, მოგვიანებით ვახტანგის უშუალო მემკვიდრის, დავით გურამიშვილის, ქართველ რომანტიკოსთა პოეზიასა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში იჩინა თავი.

ვახტანგმა მიჯნურობის მისტიკურ-ალეგორიული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა („სალბუნად გულისა“; „სატრფიალონი“), მან დაამუშავა სასულიერო-საეკლესიო თემატიკა („ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარამისა“; „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“), მანვე პირველმა თქვა ქართულ პოეზიაში თბილისის ქება:

„რა სჯობს მასში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა“...

ვახტანგმა ცხოვრების ღიდი ნაწილი უცხოეთში გაატარა. ქართულ პოეზიაში მან ერთ-ერთმა პირველმა გამოხატა სამშობლოსთან განშორების სიმძიმე, რაც მთელი ძალით აისახა მის მიერ ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ ელეგიებში. პოეტური ფორმის დაუფლებით, გრძნობათა საოცარი დრამატიზმით უნიკალურია და ჭეშმარიტ შედეგებს უტოლდება ვახტანგის გახმაურებული სტრიქონები „რანი და მოვაკანიდან“...

„რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, განი, და,
ვიარე ყოვლი ქვეყანა სიგრძე და სივრცე, განი, და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმანი და დანი, და,
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და,
ვაგ-ვაგ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!“

„ცრუ და ანაზღვეულმა“ ნუთისოფელმა პოეტი „არ შეინყალა“.

მაგრამ მან მაინც ვერ უარყო ამქვეყნიური ცხოვრება, არ გაბოროტდა, კაცთა მოდგმის სიყვარულსა და მზრუნველობაზე ხელი

ვერაფერმა ააღებინა. მეფე-პოეტმა ანდერძივით შეგონება, აფორისტული აზროვნების შედეგური დაგვიტოვა:

„კაცმა უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოაგვაროს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარედ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილობლად, წყლისა პირსა სადმე
დარგოს.“

მატამბ

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებ ესხასა,
მწვანედ ლელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა,
თუ არ უშმაგი, ვინცა ენას, მაზედა რითმე ესხასა?
მე ასე მითქვამს: უთუოდ ის კაცი იყოს, ეს – ხასა.

სრულად სიბრძნისა საუნჯის კარი, რაც მქონდეს, დამელოს,
ან მაგალითი პლატონის, ან პითალორის დამელოს,
ვჯდე გულის მძრახად სამუდმოდ, თავი ქვე სადმე დამელოს,
საკადრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი, სულიც დამელოს.

კაცს შევხვდი ბრძენსა, ეს წიგნი მაზადაც უგემებია,
ვარქვი: „ამ ზღვაში ჩავარდნილს რა ხილი უგემებია?“
„რადგა გწადს სიტკბო, – მან მითხრა, – ჯერ ნახე უგემებია,
ქენარის თაფლი უეკლოდ არავის უგემებია“.



თეიმურაზ II

1700 – 1762

ქართლისა და კახეთის მეფის, ერეკლე პირველის ვაჟი 1732-1744 წლებში – კახეთში მეფობდა, ხოლო 1744 -1762 წლებში – ქართლში.

უფროსი ძმის, კახეთის მეფის, დავით II-ის სპარსეთში ყოფნის პერიოდში (1709-1715 წლები) თავად განაგებდა სამეფოს.

გვირგვინოსან ძმასთან, კონსტანტინე II-სთან ერთად იბრძოდა აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული ოსმალების წინააღმდეგ. თეიმურაზმა სპარსეთის მეფის, ნადირ-შაჰის ნდობა დაიმსახურა.

შაჰმა მას ქართლი უბოძა, ხოლო მის ძეს, ერეკლე მეორეს – კახეთი.

1745 წელს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში შედგა თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალი ძველი ქართული, ქრისტიანული წესით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნადირ-შაჰის მკვლელობის (1747 წ.) შემდეგ, სპარსეთში დაიწყო ანარქია. შექმნილი ვითარებით მოხერხებულად ისარგებლეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე მეორემ და სამხრეთ კავკასიაში არსებული სახანოები დაიმორჩილეს. მათვე მოახერხეს ლეკთა თარეშის ალაგმვა.

თეიმურაზი ცდილობდა ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოებას.

1760 წელს იგი დიპლომატიური მისიით გაემგზავრა რუსეთში და ჩრდილოეთის ქვეყნის ხელისუფლებისგან ფინანსური და სამხედრო დახმარება ითხოვა, რაც ვერ მოხერხდა, რადგან იმხანად რუსეთი პრუსიასთან შვიდწლიან (1757-1764) ომში იყო ჩაბმული.

თეიმურაზ II 1762 წელს, სანკტ-პეტერბურგში გარდაიცვალა. იგი გადაასვენეს ასტრახანში და მიძინების ტაძარში, თავისი სიმამრის, ვახტანგ მეექვსის გვერდით დაკრძალეს.

ბაგრატიონთა საგვარეულოს მეფე-პოეტებს შორის გამოჩენილი სახელი დაიმკვიდრა თეიმურაზ II-მ. ქართლის ტახტი მას საკმაოდ გვიან უბოძეს:

„ორმოცდა ოთხის წლისას მერწმუნა მეფობანია...
ღმერთმა მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაჰის მიზეზობით,
ჯერ მფლობელ მყო კახეთისა, მერმე ქართლში

მემკვიდრობით.

კახეთშია ჩემს ძეს დასვამს, ერეკლესა მეფედ ხმობით.“

მეფედ კურთხევა მოხდა ტყვეობა-ექსორიისა და გამაჰმადიანების გარეშე, უძძველებოდ, რაც მთელ სპარსეთში თეიმურაზის დიდმა სახელმა განაპირობა, ისევე როგორც ნადირ-შაჰის დიპლომატიურმა სვლამ – მან ამჯობინა, ქართველები ქრისტიანობის მეშვეობით ჰყოლოდა მორჩილებაში და მოილო მონყალება: „ვითა თქვენი მეფობის რიგი იყოსო, ეგრევე კურთხევა მიიღეო“...

1745 წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხოველში დიდი ზვიმით აკურთხეს მეფედ თეიმურაზ II. ას ოცდაათი წლის ინტერვალის შემდეგ ქრისტიანული წესით ნაკურთხი მეფე ქართლის ტახტზე ავიდა, რაც გამარჯვების ტოლფასი იყო. ქართლ-კახეთს მამა-შვილი მართავდა. ამით, ფაქტობრივად, აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანდა, ირანის ვასალობამაც ფორმალური სახე შეიძინა და საქართველომ ირანს ხარკის მიცემა შეუნწყვიტა. თეიმურაზის ბრძნულმა პოლიტიკამ, მამა-შვილის შეთანხმებულმა მოქმედებამ, მთელ კავკასიაში მათმა დიდმა ავტორიტეტმა, ეკლესიის მესაჯედ ანტონ ბატონიშვილის დასმამ, წარმატების გზაზე დააყენა ქართლი და კახეთი.

მაგრამ სრული სიმშვიდე და ბედნიერება ჯერ მაინც შორს იყო. მტრები მოსვენებას არ აძლევდნენ ქვეყანას, როგორც თეიმურაზი ამბობს:

„ვიყავ ქართლშიგან, მტრისაგან ერთს ალაგს ვერ
დავსდგებოდი,
იქით და აქით მუდმივად ვლაშქრობდი, ვიარებოდი,

ავისა დროს და უამისგან ჯავრშიგან ვიარებოდი.”

თეიმურაზ მეფეს, ჩანს, მუდმივად ლაშქრობა და ბრძოლა უხდებოდა, მაგრამ, წინაპართა მსგავსად, მასაც კალამი უჭრიდა და პოეზიის მუზა სწყალობდა. „ვწერდი ცხენსა მჭდომი, ვლაშქრობდიო“, ასე ახასიათებს თეიმურაზი თავის შემოქმედებით ცხოვრებასა და ყოფაცხოვრების წესს.

მრავალი სირთულისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, თეიმურაზ II-მ საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი შემოქმედება, იდეურ-აზრობრივი თუ მხატვრული თვალსაზრისით არ არის ერთგვაროვანი და მაღალი ღირებულების, მაგრამ გამოირჩევა პოემების ნიმუშები, რომლითაც მეფე-პოეტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ მწერლობაში (კორნელი კეკელიძე). განსაკუთრებით ეს ითქმის მის ორნაწილიან ვრცელ პოემაზე „დღისა და ღამის გაბაასება“, ანუ „სარკე თქმულთა“.

პირველ ნაწილში გალექსილია ბიბლიური ეპიზოდები და სხვა სასულიერო-საეკლესიო ამბები, მეორეში ზედმიწევნით ზუსტად არის აღწერილი ქართველთა ზნე-ჩვეულებანი. დღისა და ღამის პაექრობაში პოეტი უპირატესობას მაინც დღეს ანიჭებს: „მე ნათელი ვარ, შენ ბნელი, ეს ჩემად ქებად კმარია“, ასე მთავრდება ეს ორიგინალური, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული პოემა, რომელშიც ქართველთა ყოფა-ცხოვრება და ტრადიციები, ზნეობრივი კანონები ფოტოგრაფიული სიზუსტითაა აღწერილი.

საქართველოს ზნეობანი, მართალია, არჩილ მეფემაც აღწუსხა, მაგრამ ის მხოლოდ ჩამოთვლას დასჯერდა, თეიმურაზმა კი დაწვრილებით აღწერა, როგორია ესა თუ ის ზნეობა, რა შინაარსისაა და როგორ ხორციელდება თითოეული სინამდვილეში. ამ მხრივ „სარკე თქმულთა“ ძვირფას ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს და შეუფასებელია მე-18 საუკუნის ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

თეიმურაზი ხშირად მიმართავს სახოტბო უანრს: „ქება ერისა“, „ხილთა ქება“ „ანბანთქება“. ზოგი მათგანი თავშესაქცევია და აქცენტი ლექსის ფორმაზეა გაკეთებული, ზოგშიც – ყოველივეს წარმავალობა და ამაოება იკითხება.

ხანდაზმულ, პეტერბურგში დიპლომატიური მისიით მყოფ მეფე-პოეტს სამი ლირიკული ლექსი დაუწერია – კიდურწერილობა, შაირი, ანბანთეცხა და „გაბაასება რუსთველთან“. სამივეში შექცებულია ერთი და იგივე ქალი, რომლის ბადალი არავინ არის ევროპაში (ფელდმარშალ ალექსანდრე ბოტურლინის ასული ბარბარა).

ხანდაზმული მეფის სიყვარული უიღბლო გამოდგა. ევროპელთა მხარდაჭერისა და ქართლის ბედის საძიებლად რუსეთში მყოფი თეიმურაზი, მოულოდნელად, 62 წლის ასაკში პეტერბურგში გარდაიცვალა.

თავგადასავალი

როდეს ყვენმან სეფიხან ჰყო საქართველოს მცველია,
ჩვენ განბნეულნი ვიყვენით, სადა ტყე იყო, ველია,
ზაკვით გვეფიცა, მიგვინდო, იგ კაცი იყო მეღია,
მე, ამილახვარს, ერისთავს, თარხანს შეგვიკრეს ხელია.

ჩვენ გავგზავნეს ყვენთანა შეპყრობილნი, ხელ-ხუნდებით,
იგ ზოსიმე ხარჭაშნელი თან გვიახლა თვისის ნებით,
ჰაატა და ნათანელი სულხან იყვენ ჩვენთან ხლებით,
სხვა ჰაატა ტუსისშვილი და სოლომონ თავდადებით.

საგინასშვილი გიორგი თან გვყვა, ისიც თავადობდა,
ჯანგირაშვილი შათირი, შიოც მახლდა, გლექსკაცობდა,
კახეთიდან ეს რვა კაცი წამოვიდენ, გვერდს მხლეობდა,
ქართლიდამე ორი კაცი ძევაძე და ოთარობდა.

ჩავვიყვანეს ისპანსა, ჩვენს სიკვდილსა მას დღეს ველი,
განვერენით სიკვდილისგან, ღმერთმან დაგვდვა საფარველი,
კვლა სოფელმან უარესი მოაწია განსაცდელი:
შვილებს მთხოვენ, შემექნების დღე უწყალოდ დასასჯელი.

გავგზავნეს კახეთს ჩაფარი, არ ჩემთვის მოსალხენია,
მათ დამიბარეს ქალ-ვაჟი, დღე მქონდა მოსაწყენია,
სხვა ძე არ მყვანდა, გასინჯეთ, ვინც იყოთ კაცი ბრძენია,
აღარვინ მრჩება ოჯახში, ვით მოვითმინო ძნელია?!

ისპანითგან გაბძანდა ხელმწიფე სპითა დიდითა,
უბრძანა მეწინავეთა: „ყანდაარისკენ ვლიდითა!“

იგ სამესისხლოდ აღძრული, არა გულითა მშვიდითა,
ჩვენც თან წაგვასხმენ მაშვრალთა, არ იყვნენ კრძალვა-
რიდითა.

რა წარვემართეთ ყანდაარს, ვიარეთ ავი გზებია,
ბევრი გამოვვლეთ გზაზედა სიცხე და სიცვიებია,
დიდად მაამეს, ვინც მახლდა, თავადი, მსახურებია,
ჩვენ მოვანვიეთ ყანდაარს, ვართ ციხის მაქებრებია.

რალას ვავრძელო? მომესმა ამბავი საზარონია,
მრქვეს: „მოიყვანეს მაშათსა შვილები შენნი ორნია“.
უმკვიდროდ გახდა კახეთი, ეს ჩემგან სააზრონია,
ვთქვი: „მომეახლა უცილოდ სულთა აღმოსვლის დღენია!“

თვით ყენმან უსამართლო საქმე მიყო მეტად ძნელი:
ამომართვა ქალი პირმზე, ვისგან ნათობს ღამე ბნელი,
ძმისნულს მისცა შესართავად, კვლა ბოძებას აღარ ველი,
მე მისისა მოშორებით დამიწყლულდა გული მრთელი.

იგი ძმისნული მაშათს ჰყვა, ქალი მას მისცა მთვარია,
სახელად ერქვა ქეთევან, არს მზისა შესადარია,
ვაუსა უწოდდი ერეკლეს, არვინ მყავს მისი დარია,
იგ თვით იახლა, მე დავრჩი სიცოცხლე დასაზარია!

იგ თან ჩამოჰყვენ ერეკლეს თავადნი თავდადებითა,
ომან, ჯიმმედ და გიორგი, ასლან ჰყვა თანახლებითა,
ბარამ, დავით და შერმაზან, ბაალ არს თავის ნებითა,
მღვდელი ჰყვა, დავით, ღიაკვნად პართენ არს სახელდებითა.

კიდევ ახლდენ მდაბალთაგან მონანი, მსახურებია,
პატარკაცი და იოთამ ხამხამე, გლეხკაცებია,
მგელია ერთი ქართლიდამ, ისიც ამათთან მხლებია,
ქრისტიანენი ესენი, ოთხნი ჰყვეს მას თათრებია.

აღალარი დილმაჯად ჰყვა, ქალბი ერქვა, ჯილაბდრობდა,
მუსა იყო მსწრაფლად მსრბოლი, იგი ფიცხად შათირობდა,
ადიგობალ გაუყრელად სულ მუდამად თარეშობდა,
ჩვენნი იყვნეს ეს თათრები, ერთგულებით მოჰყვებოდა.

ვიყავ ყანდაარს მჭმუნვარე, არა გულითა ლხინობით,
ვსთქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათმინობით,
იქ დავასრულე, ვინც ნახოთ, ნუვინ იქნებით წყინობით,
მაშინ ჯდა ქორონიკონი: უნი, კანი და ვინობით.

INTRODUCTION

This book serves a remarkable purpose, bringing together the best poems of seven monarchs of medieval Georgia, ranging across different genres and styles. By reading these fragments, the reader will be able to trace the literary evolution of Georgia from its social and political heyday of the 11th Century till the late Middle Ages. This period is a fascinating one in Georgian history, as the development of Christian and philosophical thought reacted to tumultuous and chaotic social and cultural upheavals.

Davit the Builder, Demetre I, Queen Tamar, Teimuraz I, Archil, Teimuraz II, and Vakhtang VI were the most eminent monarchs of the Bagrationi dynasty, and are revered by Georgian historians for their courageous struggles against invaders. Yet they are also often regarded as ill-starred, as so many of them were laid low by factors outside of their control; by political change in neighbouring countries, or the treachery of feudal barons.

Though the monarchs included in this anthology all share the same surname, they have been chosen due to their artistic merit; the love of words, the poetic skill, and the depth of perception that is so evident in their poetry.

In their hours of leisure, these mighty rulers wrestled with words to try and capture the issues and events of their

time on the page. In so doing, they offer their own view of man and his place in the world, and give a unique insight into contemporary thought and philosophy. Frequently, the ideas expressed in these poems lie at the source of artistic and aesthetic traditions that persist to this day in Georgian writing, and these poems form a cornerstone at the foundation of Georgian literature. Beyond their historical importance, they are also beautiful, profound, and full-blooded.

These examples of classical Georgian literature, together with the assiduous commentary of the experts, will we hope provide an invaluable guide to the history of Georgian poetry.

Readers with a love of medieval poetry will be enraptured by Davit the Builder's innate grasp of poetic imagery, woven seamlessly into his songs. His 'Chants of Penitence' express the tangled emotions of a believer, as he is at once inspired by Divine Love, and at the same time, brutally aware of his own sinning and inadequacy. The steps of his 'Ladder of Virtues' run a gamut of emotional colour; the king's religious and philosophical vision is expressed in exquisite imagery that incorporates important ascetic and mystic ideas that were central to the 11th and 12th century Georgian theology.

Davit, a great helmsman of the Georgian state, known as 'the Sword of the Messiah', makes an appeal to God in

heaven: ‘O Lord, of Thy divine image make me, make my heart and mind be affirmed in resemblance to those of Thine.’ These lines have withstood the passing of centuries and retain their power to the present day.

The author of the ‘Chants’ is the spiritual descendant of great figures of the early Church like John of Damascus, Basil the Great, Grigol of Nazianz and Dionysius of Ariopagite, whose philosophical influence is redolent in Davit’s poems. Furthermore, a close reading of his work allows the reader to trace the influence of Origen of Alexandria, one of the Church’s founding fathers; Davit references the hierarchy of the worlds, each rung of which is mirrored in man’s spiritual evolution, an image that began with Origen.

The Delphic commandment to ‘Know Thyself’ – found in the writings of both Socrates and Basil the Great – became the core idea of Neo-Platonism, giving birth to the idea of man as a microcosm. According to this worldview it is necessary first to plumb the depths of the self, in order to understand the multitudinous macrocosm; spiritual perfection depends on overcoming the barriers on the path to self-knowledge. Only once man knows himself can he understand his place in the divine order and return to the bosom of the Lord.

Davit’s ‘Chants’ comprise a coherent synthesis of theological concepts of the world and man. Central to his

progressive ideas of kingship was the notion that the monarch and his country were indivisible, and that the king served his people. This philosophical idea underpinned Georgian kingship for centuries, and allowed Davit to make significant reforms during his reign. Chief amongst these was his removal of clergy privileges, thus restoring dignity to the people. This was a process whose roots can be traced to Giorgi Mtatsmindeli, the great translator and man of letters, who while abbot of the Iveron monastery on Mount Athos in the 11th Century, traced a doctrine that demanded a democratisation of the church, a strengthening of nationalism, and defence of the Orthodox creed and its autocephaly in Georgia. Davit's implantation of these ideas brought great cultural and economic advancement, which had been stifled under the weak leadership of earlier kings.

It must have seemed marvellous to contemporary chroniclers, how Davit, a man so occupied with earthly matters, so devoted to the security and well-being of his subjects, would manage to find time to explore literature, writing and science – to continually self-educate himself while carrying out the onerous daily duties of a king. According to the annals the king even had time to make extensive study of Islam and Islamic scholarship, often entering into heated debates with leading scholars of that religion.

Davit was a benevolent king and would show great hospitality to Muslims who entered Georgia, providing they bore no animus; the king was especially intrigued by the life of the Sufis, and often granted them financial help, even holding lavish feasts for them. At that time, Sufism was a multi-layered and eclectic branch of philosophy, whose ideological basis was not restricted solely to the Koran, but also drew from Neo-Platonism among various mystic, religious and philosophical traditions. The Georgian theologian and philosopher and founder of Christian Neo-Platonism, Petre Iberieli and Pseudo Dionysius the Areopagus – were also influential.

It is interesting that writers of the time did not seem to see these foreign philosophical imports as a threat to the integrity of the national culture. Davit, a powerful monarch and visionary ruler, drew on his deep knowledge of the Koran and other traditions to further his religious understanding, the profundity of which is clear in the wonderful samples of Christian hymnography that are reproduced in this book, and continue to inspire new readings and interpretations to the present day.

Davit's heir Demetre I continued the tasks begun by his father, as befits a royal son; he fought with valour against powerful enemies and pretenders, reclaimed lost territories, and even rivalled his father in his literary exploits.

Demetre's hymn to the Theotokos 'Thou Art a

Vineyard’ is a true masterpiece of Georgian hymnography that continues to inspire readers today, it is a never-failing spring nourishing the nation’s spiritual understanding. It spans earth and cosmos, and is radiant with love.

In 1178 Giorgi III, in the absence of a male heir, made Tamar his co-ruler. After his death Tamar ruled successfully as queen. Despite the many problems facing her nation, she never faltered, and overcame obstacles that would have proved insurmountable for many a male ruler. Tamar consolidated the country’s borders, creating a peace that allowed great cultural development. Her reign is considered a ‘Golden Age’ of economic, political and social advancement, and Queen Tamar gained numerous epithets – sensible, gracious, humane, farseeing and an excellent sovereign.

In Georgia, poetry has traditionally been considered a field of wisdom, and correspondingly, kings would learn verse-writing as part of their education, along with the study of church songs, and various branches of science. At court, poetics was perceived to be the most important part of a young nobleman’s education, which would toughen and harden his spirit. Hence it was natural that Tamar would follow her predecessors and compose verses; the most important surviving poem is her ‘In the Sky of Skies’, a 25 verse religious and philosophical work written in iambic pentameter.

It has long been conjectured that Shota Rustaveli, the

author of the magnificent ‘The Knight in the Panther’s Skin’, was a member of the Bagrationi dynasty. While none of his lines appear in this volume, his influence can be seen in many of the verses – after him, no Georgian poet has been able to escape his mesmeric force.

His epic poem, loaded with exotic and everyday scenes, romance and great battles, comprises a literary monument – Oriental in form and Christian in content – that achieves a complex synthesis of cultures that is irresistible to readers.

The cultural achievements of Davit, Demetre and Tamar were mixed with influences of other, still older, civilisations, and flow through Rustaveli’s work. The conditions of Tamar’s reign, when Georgia was ascendant and self-confident, yet open to the influx of foreign philosophies, were ideal for composition, and Rustaveli’s great poem of Georgia, written in a foreign poetic form, is a great reflection of the era. The sheer musicality, harmony and melding of form and content that he achieved can only be realised in certain eras, when society and culture are vigorous and open. In subsequent centuries Georgian literary development was marked by attempts to escape the magnetism of Rustaveli’s poetic appeal, and by the growing political and cultural influence of Persia and other Muslim powers. The formidable Eastern potentates spared no effort in endeavouring to bring Georgia to submission.

The poetry of Teimuraz I & II, Archil, and Vakhtang VI demonstrates the complexity of the political situation that faced later Georgian monarchs, as they struggled to escape Persian dominance. Brought up in a Persian milieu, fed on Sufi writing, subjected to enormous political pressures, the Georgian kings struggled desperately to conserve the dignity of their nation, and to loosen the chokehold of foreign influence. For them, the opportunity to sequester themselves away and devote time to poetry must have been a great solace from the relentless struggle.

Throughout the centuries of crisis, Georgian kings always hoped that someday the hand of help would be outstretched from the west, particularly from Russia – whose people shared the same religious creed – but the long-awaited assistance never came.

Nevertheless, their innate lust for life, and the memories of the ‘Golden Age’, would always strengthen the resolve of the kings and their people, and at critical moments the nation would rise up and defend itself – rallying around their church and culture.

Any rare peaceful interludes were spent in the restoration of churches and monasteries, and the development of literature and typography; Georgian culture continued to thrive even in adversity. Those verses and poems of the time that discuss the unbearable cruelty of life lyrically express the torment of living under a constant threat of foreign invasion

and devastation. Gradually Georgian literature lost its Oriental mysticism and regained a purer style, attempting to depict life and the pains of the human heart, while experimenting with new forms and imagery. Georgian verse helped the nation with its catharsis as it recovered its sense of self.

The torch of Georgian literature was passed down the generations, eventually sparking a great renewal in the poetic works of the Bagrationi dynasty in the 17th and 18th centuries, whose verses sprang forth with a new force and vigour, showing that they were worthy inheritors of the gilded crown worn by their illustrious predecessors.

Ketevan Tomaradze



Gelati

1106



Davit the Builder

1089-1125

